140
1983

ISSN 0132 — 5973



# პიონერი

9
1983

# კვლავ გუგუნებს დიდი ზარი

ოლეგ გველესიანი

მზე ბრდღვიალა, მეწამული
გადაღვრია ქუჩებს, ბაღებს...
პაწარების კრიამული
სკოლის ნათელ კარებს აღებს.

მოცინცხალებს სექტემბერი,
ყვავილების გიზგიზია...
ქუჩა-ქუჩა ნაირფერი
ბავშვობის დღის კისკისია.

სექტემბერი, თეთრი დილა...
მერამდენე თრთოლვა გულის,
ღიმილ-ღიმილ გადათილა
სიცოცხლე და სიხარული.

ყანებს ფრთები გაუშლია,
მოხავერდობს ლურჯად მოლი,
ფრთას უსწორებს ქარის შრიალს
დურაჯი და მოლაღური.

კვლავ გუგუნებს დიდი ზარი,
გულში ისევ ლექსი მღერის,
შარიშურობს, როგორც ქარი,
შემოდგომა ქარვისფერი.

ცა ღიმილით აფრქვევს ფერებს,
საყვარულის ამბორს გზავნის...
ვარდფურცლობის წლების მერე
ისევ მიხმობს სკოლის ზარი.

კვლავ მეძახის გახსენება,
სიჭაბუკის გზა კეთილი,
ო, ის პირველკლასელობა
და პირველი გაკვეთილი.

ის პირველი დედა ენა,
უანკარეს დღეთა ცრემლი...
დღეები, ვით ვარსკვლავოცვენა,
და ღიმილი მასწავლებლის.

ო, იმ დღეებს თავს ვევლები,
მათი შუქი სულ თანა მდევს,
აგრემც პირველკლასელები
მოგვიმრავლდეს, მოგვიმრავლდეს!

დღეს იმ გზებს და ბილიკს თიხნარს
სასექტემბროდ კვლავ მოვყვები,
მე ძველ ლექსებს წაგიკითხავ,
შენ ახალ ლექსს მომიყვები...

ცხრათვალა მზე ისევ მღერის,
მინდვრებს გადაუღვივია
და ვარდები ყელმოღერით
სექტემბრის დღეს უცინიან,

რომ ოცნებებს, მზიან მიზნებს,
ზღვად ედინოს, სულ ებევროს!...
მშვიდობის მზე დაგვიზგიზებს,
გამარჯობა, სექტემბერო!



ᲩᲔᲛᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲔᲠᲒᲣᲚᲘᲡ
ᲩᲔᲛᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ
ᲨᲠᲝᲛᲐᲡ

# ადამიანი შრომით ფასდება

ნუგზარ აფხაზავა

ბაკურციხეში ბავშვმაც კი იცის „მთიების" სახელი და არა მარტო სახელი იცის — მას შეუძლია ჩამოთვალოს, თუ მეტი არა, 10-12 გოგო-ბიჭი მაინც — თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც თავიანთ შრომით სემესტრს, აგერ უკვე მერამდენე წელია, ბაკურციხის სანერგე მეურნეობა-ტექნიკუმის ტერიტორიაზე მოწყობილ შრომისა და დასვენების ბანაკ „მთიებში" ატარებენ. ეს არცაა გასაკვირი — თბილისელი მოზარდები თავს აქ სტუმრებად კი არა, მასპინძლებად გრძნობენ, ბაკურციხელ თანატოლებთან ერთად შრომობენ, ერთად ერთობიან და — ცოდვა გამხელილი ჯობს — ხანდახან სხვისი ღობის გადაღმა წითლად აბრიალებული საადრეო ბლისკენაც ერთდროულად გაექცევათ ხოლმე თვალი და ხელი...

15 ივნისს ჩამოვიდა აქ მე-18 სკოლის 40 მოსწავლე. ცხადია, უფროსებიც ჩამოჰყვნენ — დირექტორის მოადგილე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში **ნუგზარ ლეჟავა**, გამოცდილი და ავტორიტეტიანი პედაგოგები — **ლილი შარიქაძე** და **ლეილა ნებიერიძე**. დინჯად, თავშეკავებული სიხარულით, ჩუმი იუმორით შეზავებული სიტყვა-პასუხით შეხვდნენ ჩამოსულებს სტუმართმოყვარე კახელები: მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი **ავთანდილ ქუმსიაშვილი**, მისი მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **რობინზონ ქოჩორაშვილი**, თანამშრომლები — **მერაბი, ვანო, შოთა, გივი, გერონტი**... ხომ უამრავი საქმე ჰქონდა თითოეულ მათგანს — საზოგადოც და საკუთარიც, მაგრამ მაინც პოულობდნენ დროს თბილისელ მოზარდებთან მოსვლისათვის: როგორა ხართო, — ჰკითხავდნენ, — რამე ხომ არ გიჭირთო, მუშაობაში ხელი ხომ არ გეშლებათო... ვენახში თან დაჰყვებოდნენ, ექსკურსიისათვის მანქანას მაშინვე გაუჩენდნენ, კვების საკითხი ბრწყინვალედ მოაგვარეს... ერთი სიტყვით, ჩამოსულ მოსწავლეებს შრომისა და დასვენების ყოველგვარი პირობა ჰქონდათ შექმნილი, ჰა—ბურთი და ჰა—მოედანიო, რომ იტყვიან, ისე იყო საქმე...

ჰოდა, არც თბილისელებს შეურცხვენიათ თავი, სიახლოვეს არ გაიკარეს სიზარმაცე და გულგრილობა. ერთი ყველასათვის ზრუნავდა და ყველა — ერთისათვის, არც შრომაში ზოგავდნენ ენერგიას და აქტიური დასვენებისთვისაც საკმაოდ რჩებოდათ დრო. ყველამ, უკლებლივ ყველამ ივაჟკაცა, მაგრამ მაინც შეიძლება ზოგიერთის გამორჩევა. აი, ისინიც: მერვეკლასელები ნათია ახობაძე, მიშა სულაძე, გოჩა გორგაძე, ზაზა მაჭარაშვილი (ესენი, ამავე დროს, ბრიგადირებიც იყვნენ), ზურაბ ხარატიშვილი (ბანაკის კომისარი), თამრიკო სანებლიძე, მაია გოგინაშვილი, მეექვსეკლასელები ნიკო გოგლიძე, ნინო ხარხელაური, ბესიკ თევდორაძე, მეშვიდეკლასელი მალხაზ კევლიშვილი, მეხუთეკლასელი ალიკო კახნიაშვილი... თითოეული მათგანი ბეჯითი შრომისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის კომკავშირის გურჯაანის რაიკომისა და მეურნეობა-ტექნიკუმის დირექციის სიგელებით დაჯილდოვდა.

ბანაკს უკანასკნელ სამუშაო დღეს ვესტუმრეთ.

— დღის რეჟიმი როგორი იყო? ძალზე ხომ არ იღლებოდით? — შევეკითხეთ ბავშვებს.

17.462

თუკი
იბეჯითებ
და
ვაზს
მოვლას
არ
მოაკლებ,
მადლობის
გადახდაც
გულიანი
იცის...



გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველკვირეული
საბავშვო ჟურნალი
პიონერი
9 სექტემბერი 1983
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

სახეზე ღიმილი აუთამაშდათ.

— რა დაგვღლიდა, — ყველას მაგივრად გვიპასუხა ბანაკის კომისარმა, — დღეში სულ ოთხ საათს ვმუშაობდით. დილაუთენია ვდგებოდით (ასიცხებამდე ჯობს მუშაობა), სახელდახელოდ წავიხემსებდით და 7 საათზე უკვე ვენახში ან მინდორში ვიყავით. ბევრი ჩვენგანისათვის „მწვანე ოპერაციები" უცხო ხილი აღარ იყო, ახალბედებმაც ყველაფერს სწრაფად აუღეს ალღო და სამუშაოს მაშინვე დაეტყო ჩვენი ხელი... 11 საათზე შინ ვბრუნდებოდით, ვსაუზმობდით და იწყებოდა, ასე ვთქვათ, მეორე განყოფილება, — ზურაბს გაეღიმა და მეგობრებს გადახედა, — აქტიური დასვენების საათები...

ვენახში საქმე ბევრი იყო — გაფურჩვნა, ახვევა, გამარგვლა (თოხით თუ ხელით), მაგრამ თავდაპირველად წვიმებმა გული გაუწყალა ბავშვებს. თუმცა ასეთ დღეებშიც მოწყენილები და გულხელდაკრეფილები როდი ისხდნენ...

— ყოველდღე ვატარებდით თითო 45-წუთიან გაკვეთილს. თემას ბავშვები ირჩევდნენ, — გვიამბობს პატივცემული ნუგზარი. — უფროსკლასელებთან ვსაუბრობდით, ასე ვთქვათ, მაღალ მატერიებზე, კერძოდ — პლატონის „დიალოგებზე".

ვკითხულობდით შერჩეულ ადგილებს, ვადარებდით რუსთაველის შეხედულებებს... მერვეკლასელებთან „უქარქაშო ხმლებზე“ ჩავატარეთ რამდენიმე საუბარი, ვიდავეთ, ვიკამათეთ..

— ტექნიკუმელებს მშვენიერი სპორტული დარბაზი აქვთ, — ამას გოჩა გორგოძე გვიყვება. — აქაურები მაგარი ბიჭები არიან, თუმცა ტოლს არც ჩვენ ვუდებდით.

საუბარში რობინზონ ქოჩორაშვილი ჩაერია:

— თქვენი ლაპარაკით ისე გამოდის, თითქოს უფრო მეტს ერთობოდით, ვიდრე მუშაობდით. — დირექტორის მოადგილე ჩვენ მოგვიბრუნდა: — მერწმუნეთ, ძალიან კმაყოფილი ვართ, ბევრი რამ გააკეთეს ბავშვებმა. ამ თამაშ-ხუმრობაში გეგმური 1500 მანეთის ნაცვლად თითქმის 2000 მანეთის სამუშაო შეასრულეს, ესე იგი გეგმას 35%-ით გადააჭარბეს... როგორ ფიქრობთ, იმ წვიმიან ამინდში, რა, არ გვეხმარებოდნენ? აი, თვითონა თქვან. აღიარონ თავიანთი „დანაშაული“...

ბავშვებმაც „აღიარეს“:

**ზაზა მაჭარაშვილი:** — წვიმიან დღეს, თუკი ტალახის გამო ვენახში ვერ შევიდოდით, ქერს ვაბრუნებდით — ვანიავებდით, რომ არ შეხურებულიყო...

**ნათია ახობაძე:** — ხან ნივრის კვლებს შევესეოდით (როცა წვიმა გადაიღებდა), ნიორს ვიღებდით, ვასუფთავებდით, ვაპინავებდით.

**ბესიკ თევდორაძე:** — არც ჩვენს საერთო საცხოვრებლის შენობას ვაკლებდით ყურადღებას: აქ მინას ჩავსვამდით, იქ ჩარჩოს შევაკეთებდით, მაგიდას ფეხს გავუმაგრებდით...

უკვე მერამდენე წელია, მე-18 სკოლის მოსწავლეთა შრომით ბრიგადაში სამუდამოდაა ჩარიცხული ბაკურციხელი შინმოუსვლელი ილია ჭარელაშვილი. იგი 18 წლისა წავიდა ომში და 19 წლის ჭაბუკი დაიღუპა. მის დავრდომილ დედას ოჯახში პატრონი და მომვლელი არ ჰყლია, მაგრამ როცა ქალბატონ ანას მოსწავლეებმა შვილის სახელზე გამომუშავებული 80 მანეთი მიუტანეს და ლამაზი თავსაფარი აჩუქეს, მოხუცს ცრემლი დაედინა დამჭკნარ ლაწვებზე...

ბანაკელთა დასვენება ექსკურსიებსაც ითვალისწინებდა. მოსწავლეებმა ინახულეს ყოვლაწმინდის ორგუმბათიანი ეკლესია, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ყვარელში, გრემი, წინანდალი, შუამთა, კვეტარა; მოიარეს ქიზიყი; მირზაანში გაეცნენ ფიროსმანის გამოფენას (10 სურათი ორიგინალი იყო, სხვა — რეპროდუქციები): ინახულეს ის ადგილი ძველ კამპეჩოვანში, სადაც გადმოცემით, გიორგი რუსი დაიღუპა; ძალზე მოეწონათ ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი; იყვნენ ფორე მოსულიშვილის სახლში, წუთიერი დუმილით პატივი სცეს გმირის ხსოვნას, მოისმინეს ფორეს ძმის საინტერესო მოგონებები...

პატივცემული ლილი მასწავლებელი გვიამბობს:

— ჩვენს მოსწავლეებს კი არა, ჩვენც დიდხანს არ დაგვავიწყდება ბაკურციხეში გატარებული დღეები... დასვენების საათების ღონისძიებათა გეგმა, ცხადია, შედგენილი გვქონდა და შევასრულეთ კიდეც (გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით გამოვუშვით უხვად ილუსტრირებული გაზეთი „მეგობრობა გზად და ხიდად“, აგრეთვე გაზეთები: „გახსენება“, მიძღვნილი ლადო ასათიანისა და მირზა გელოვანისადმი; „იცი თუ არა შენ?“ „მხიარული ხუთშიდი“, „მათ ხსოვნას სამშობლო სანთლებად აინთებს“, მიძღვნილი სამამულო ომის გმირებისადმი...). გარდა ამისა, ხშირად ვატარებდით



მემორიალთან საპატიო ყარაულში დგანან მოსკოველი პიონერები.

დაუგეგმავ, სახელდახელო ღონისძიებებს —პოეზიის წუთებს შესვენებისას (ვენახში თუ მინდორში). პოეტურ შეჯიბრებებს (მაგალითად, „ვინ უკეთ იცნობს გალაკტიონის პოეზიას“)... ამ ერთი კვირის წინათ ჩვენთან მოსკოვის 877-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ჩამოვიდნენ, ისინიც „სტაჟიანი ბაკურ-ციხელები“ გახლავთ — უკვე მეექვსე შრომით სემესტრს ატარებენ აქ. მათთან ერთად ვაწყობდით სპორტულ შეჯიბრებებს დარბაზში თუ ღია ცისქვეშ, პოეზიის საღამოებს ბებერი კაკლის ჩეროში.

— სხვათა შორის, — ჩაურთო ლალი მასწავლებელმა, — იმპროვიზებული ღონისძიებები თითქოს უფრო საინტერესო, ხალისიანი, მრავალფეროვანი გამოდიოდა.

—აქვე, ტექნიკუმის ტერიტორიაზე, ვაზის ჯიშების საკოლექციო ნაკვეთი გვაქვს გაშენებული, — გვიყვება პატივცემული ავთანდილი. — 74 ჯიშის ვაზი ვახარეთ (სულ საქართველოში 500-ზე მეტი ჯიშია ცნობილი) — ჩიტისთვალა და ჭროლა, წითლოური და ხატმი, დანახარული და შაბა, შავკაპიტო და ნაცარა, კუმსი და თავკვერი... მოსწავლეები შეუჩნდებოდნენ ხოლმე პატივცემულ რობინზონს, ისიც გამონახავდა შედარებით თავისუფალ საათს, ვენახში შეუძლვებოდა ბავშვებს და აცნობდა თითოეული ჯიშის ვაზის ავ-კარგს, თავგადასავალს, მოვლის საიდუმლოებას... ვფიქრობ, ბევრი რამ შეიძინეს ბავშვებმა ამ საუბრებით. არა მარტო ვაზის სიყვარული გაუღვივდათ, არამედ მისთვის საჭირო სასარგებლო შრომაც შეიყვარეს... კაცი კი, მოგეხსენებათ, შრომით ფასდება...

მოსწავლეთა გაუთავებელ შეკითხვებს მარტო რობინზონ ქოჩორაშვილი ვერ აუთავდებოდა და ხშირად მის მაგივრობას ბრიგადირები — ვანო, შოთა და გივი სწევდნენ. მათი მადლობელნიც არიან ბავშვები...

— ცოტა კი ვაწყენინეთ ბრიგადირებს, — ეშმაკურად იცინის დათო ქუთელია. — ერთხელ ვენახში ყოფნისას გაგვიწვიმდა და შინ რომ წამოვედით, თან სველი თოხა წამოვიძღვანიეთ. მე, ეკა ნანიტაშვილმა და ნიკო გოგლიძემ მეგობრული შარჟები გამოვძეწეთ — კახელი გლეხისა და... ჩვენი ბრიგადირების ფიგურები... ყველამ ბევრი ვიცინეთ.

— ერთი სიტყვით, — შევეკითხეთ ბავშვებს, — გეტყობათ, აქ გატარებული დღეებით ყველანი კმაყოფილი ხართ. ასეა, ხომ?

**ნინო ხარხელაური:** — რა თქმა უნდა. ყველაზე ძნელი ადრე ადგომა იყო, მაგრამ მალე მივეჩვიეთ. პირადად მე ქერის გადაბრუნება მეადვილებოდა, თუმცა არც „მწვანე ოპერაციებში“ ჩამოვრჩებოდი ვინმეს.

**მიშა სულაძე:** — ჩემი ბრიგადის წევრების დიდი მადლობელი ვარ ბიჭებიც და გოგონებიც გულიანად მუშაობდნენ. წელან ავთანდილ ძიამ თქვა, ადამიანი შრომით ფასდებაო. მართალია, და მჯერა, რომ ჩემი ბრიგადის წევრები გამრჯე კაცები და ქალები დადგებიან.

**მალხაზ კევლიშვილი:** — აქაურობას და აქაურებს ისე შევეჩვიეთ, წასვლაც აღარ გვინდა.

**მიშა სულაძე:** — მოსკოველი თანატოლებიც არ გვეთმობიან.

**ზურაბ ხარატიშვილი:** — ბანაკის კომისრობა არ გამჭირვებია. ყველა მხარში მედგა. არც შრომის დისციპლინა დაურღვევიათ, არც ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარებისას უზარმაკნია ვინმეს...

დასასრულ ისიც უნდა ვთქვათ, რომ შრომითი სემესტრის ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩატა-

შესვენებისას ბებერი კაკალიც უსმენდა იმპროვიზებულ კონცერტებს.



ბევრმა ყმაწვილმა პირველად შეავლო ხელი თოხს. მაგრამ არავის დაუწუწუნია.



ტბას მივუახლოვდი. გზიდან გადავუხვიე და სირბილით ავუყევი ბილიკს. საოცრად მომინდა მენახა ის ლოდი, რომელზედაც ქეთი იდგა.

...შეღამდა. მე წავალ იქ, სადაც სიზმრები,
წიგნები დარდობენ დახუჭულ თვალებით... — მივღიღინებდი...

სულმოუთქმელად ავლიე აღმართი, მერე თავქვე დავეშვი და ლოდზე ავირბინე. ტბას გადავხედე. დიდებული სანახავი იყო. „აქ იდგა ქეთი", გავიფიქრე და, უცებ, ზემოთ ქვა და ღორღმა გაიჩხრიალა. მერე ქვა დიდხანს მოგორავდა დაბლა. შევკრთი. წამით ჩამოვარდნილი მყუდროება ისევ დაარღვია ფერდობს მომწყდარი ქვის ხმაურმა. აშკარა იყო, ვიღაც უგზოზე ჩამოდიოდა. შემოვტრიალდი და, ბილიკს რომ თვალი ავადევნე, მწვერვალზე კაცი დავინახე, ქვემოთ ეშვებოდა. აშკარა იყო, ვიღაც მეორეც მოდიოდა.

სწრაფად მივედი ლოდის კიდემდე, დაფნის ტოტს გადავწვდი, ავიწიე და ხეზე ფრთხილად გადავედი. მაღლა ავცოცდი და ფოთლებში შევიყუჟე. ისეთი დაბურული ტოტები ჰქონდა, ამ ხეზე მონდომებით რომ ვეძებნე ვინმეს, მაინც ვერ მიპოვიდა.

ამასობაში ის, ვინც უგზოზე მოდიოდა, უკვე ტბის ნა-



# წყალში ჩავარდნილი ნაკვერჩხალივით

ზაალ ჭაბალუა

მხატვარი
გივი პეტრიაშვილი

მოთხრობა

პირთან იყო. მაშინვე ვიცანი. ჩემგან რაღაც ათიოდ მეტრზე იდგა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბილიკს გაჰყურებდა.

გარკვევით ისმოდა მეორე მხრიდან მომავლის ფეხის ხმაც. ჩემი ნაცნობი მის შესაგებებლად გაემართა.

ყურებში ერთბაშად საშინელი ხმაური ჩამიდგა. რაღაც ავის მოლოდინში გული ისე მიცემდა, შემეშინდა, არ გაიგონონ-მეთქი და ხის ტანს ისე მაგრად ჩავეხუტე, მკერდი მეტკინა.

დასასრული. იხ. № 7, 8.

---

რებაში მე-18 სკოლის მოსწავლეებს არა მარტო ბაკურციხელი მასპინძლები დაეხმარნენ, არამედ კომკავშირის გურჯაანის რაიკომიც, რაიმილიციის თანამშრომლებიც და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთეკურსელები, ბანაკის ექიმები — თამაზ შაიშმელაშვილი და სოსო ბასილაშვილიც...

აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ თბილისის 1-ლი მაისის რაიონის სკოლებმა შრომისა და დასვენების ბანაკებში 545 საუკეთესო მოსწავლე მიავლინეს, რომლებმაც ყველგან, სადაც კი იყვნენ — ბაკურციხეში თუ კარდანახში, შრომაში თუ ვეჯინში, მუკუზანში თუ საგურამოში — სასიკეთო კვალი დატოვეს. მართალია, გაჭიანურებული უამინდობის გამო საერთო გეგმა ვერ შეასრულეს (თუმცა გეგმურ 17000 მანეთამდე არც ბევრი დაჰკლებიათ), მაგრამ, სამაგიეროდ, სულიერად გამდიდრდნენ, ფიზიკურად გაკაჟდნენ, საფუძვლიანად გაეცნენ მევენახეთა და მემინდვრეთა საქმიანობას, შეიძინეს შრომითი ჩვევები, გემო გაუგეს საკუთარი შრომის ნაყოფს, დაუმეგობრდნენ ადგილობრივ თანატოლებს, გამოიწვრთნენ კოლექტივში, ისწავლეს წინააღმდეგობათა გადალახვაც და ისიც, რომ დროებითმა წარუმატებლობამ გული არ უნდა გაგიტეხოს... ყოველმა მათგანმა ბეჯითი და პატიოსანი მშრომელის სახელი დაიმსახურა, ეს კი ცოტა როდია, რადგან, ჭეშმარიტად, ადამიანი თავისი შრომით ფასდება ხოლმე.

თ. ცაგარელის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცს, რომელიც ბილიკით ჩამოვიდა, პირველად ვხედავდი. საშუალოზე ცოტათი მაღალი იყო, ჯმუხი, ოდნავ ღიპიანი. ჯინსის შარვალ-პერანგი ეცვა.

ერთმანეთს არ მისალმებიან. ჩემგან დაახლოებით 20-25 მეტრზე იდგნენ და ისე ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, სიტყვებს ვერ ვარჩევდი. უცნობი ცხარობდა. ჟესტიკულაციით ლაპარაკობდა. დიდხანს იკამათეს. ბოლოს უცნობი ისე გამწარდა, მოკამათეს საყელოზე წაავლო ხელი და ხმამაღლა უთხრა:

— ნაძირალა ხარ! ამ საქმეში სხვა ჩემს ადგილზე ნახევარ მილიონს არ დაგჯერდებოდა. საკვირველია, 90 ათასიდან 30-საც არ გინდა შეელიო, კაცო?! მაინც რამდენი მომიტანე? — უცებ უშვა ხელი.

— თხუთმეტი.

— მომეცი აქ, და ზეგ, თორმეტ საათამდე დანარჩენს თუ არ მომიტან, ეს საბუთები, სადაც საჭიროა, იქ იქნება.

ჩემს ნაცნობს არაფერი უთქვამს. უცებ დაბალმა რაღაცნაირად, გულის სიღრმიდან, გრძლად ამოიზმუილა და, თითქოს უნდა ჩაეხუტოსო, ორივე ხელით მხრებზე ჩამოეკიდა. წამით ასე იდგნენ ერთმანეთს მიყრდნობილნი. მერე ჩემმა ნაცნობმა ხელი უბიძგა, ჯმუხი შეტორტმანდა, რაღაც უცნაური მოძრაობა გააკეთა და მიწაზე გულაღმა გაიშოტა.

თვალები დავხუჭე და, რომ არ მეყვირა, ხის ტოტს კბილებით ჩავაფრინდი.

ჩემი ნაცნობი გაფაციცდა, მიიხედ-მოიხედა, ღამეს მიაყურადა. მერე სწრაფად დაიჩოქა, წაქცეულს ჯიბეებიდან რაღაცა ამოაცალა და თვითონ ჩაიჩურთა. თავისი ჯიბიდან პატარა ტომარა ამოიღო, წელში გასწორდა და თვალით რაღაცას დაუწყო ძებნა. მერე წელში მოხრილი გაიქცა, დიდ ქვას დასწვდა და მოარბენინა. ქვა ტომარაში ჩადო, ბაწრით თავი მოუკრა, მერე ჯმუხს მუცელზე დაადო. ბაწარი წელზე შემოახვია და მაგრად შეკრა. ამას რომ მორჩა, ისევ დაიძაბა, მიაყურადა და, რომ დარწმუნდა, ახლომახლო არავინ ჭაჭანებდა, კაცი ხელში აიყვანა და იქვე, ნაპირთან მოტივტივე ნავში ჩააწვინა.

შიშისაგან გული ლამის გამიჩერდა — ამ წუთს იგი ჩემს ქვემოთ იდგა და მომეჩვენა, ამოიხედა-მეთქი. მაგრამ ჩემი ნაცნობი ნავში ჩახტა, ნიჩბებს მიუჯდა და უხმოდ მოუსვა, მალე ნავი ტბის შუაგულამდე შეაცურა და იქ გააჩერა, კაცს დაწვდა და უხმოდ ჩაუშვა წყალში. მიმოიხედა, მერე ნიჩბებს ეცა. ორიოდე მოსმით უკვე ნაპირთან იყო. კატასავით გადმოხტა, ნავს ფეხით ღონივრად უბიძგა და წყალში შეაცურა. შემდეგ ყურადღებით მოათვალიერა მკვლელობის ადგილი, ერთხელ კიდევ დაზვერა გარემო და საეჭვო რომ ვერაფერი შენიშნა, ბილიკის საწინააღმდეგო მხარეს ლანდივით გაუყვა სანაპიროს.

ციებცხელებიანივით ვძაგძაგებდი, ცივ ოფლად ვიყავი გაღვრილი. მკერდი და ფრჩხილები მტკიოდა. „ღმერთო, ნუთუ ყველაფერი ეს ცხადი იყო?! ნუთუ შეიძლება, ასე, ერთ წუთში, ადამიანის გაქრობა? სიზმარში ხომ არ ვარ?!“ მაგრამ ვხედავდი, რაც ვიხილე, ისეთივე ცხადი იყო, როგორც ის, რომ ახლა ხეზე ვიჯექი და ვკანკალებდი...

— ნიკა, ყურადღებით იყავი! — გამაფრთხილა ისტორიის მასწავლებელმა და გაკვეთილის ახსნა განაგრძო წამით ისევ რეალობას დავუბრუნდი, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს იყო მხოლოდ წამით. მერე ისევ შეუმჩნევლად იმ წყეულ ღამეში გადავინაცვლე.

იმ ღამეს, სანამ არ ინათა, ხეზე ვიჯექი. რომ ირიჟრაჟა, ხიდან ჩამოვცოცდი და მეურნეობისკენ გავუტიე. მივრბოდი და თან ვფიქრობდი, ახლავე ყვირილით ფეხზე დავაყენებ მთელ მეურნეობას-მეთქი, მაგრამ რომ მივედი, ხმა არ ამომიღია. ქურდივით შევიძურწე ჩვენს ოთახში და ლოგინში შევძვერი. ის ერთი კვირა როგორ გავატარე მეურნეობაში, არ მახსოვს. აგერ უკვე ერთი კვირა ხდება, რაც სახლში დავბრუნდი, მაგრამ ნახულმა და განცდილმა ისე შემზარა, ეტყობოდა, მეორედმოსვლამდე რომ მეცოცხლა, გონებიდან არ ამომივიდოდა. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ეს ამბავი არ დაიმალებოდა და მკვლელს იპოვნინდნენ. მაგრამ დამნაშავე ისევ ისე დაქროდა რძისფერი „ვოლგით“. ვცდილობდი არ შევხვედროდი, მაგრამ მაინც ორჯერ პირისპირ შევეჩეხეთ ერთმანეთს. თვალებში ველარ შევხედე, ან რა ეშმაკი შემახედებდა... ის კი დიდის ამბით მეკითხებოდა არა მარტო ჩემი ჯანმრთელობის, არამედ სწავლის ამბებსაც. საერთოდ, ისე იქცეოდა, იფიქრებდით, თავის დღეში ბუზიც კი არ აუფრენიაო. ამ დროს როგორ მინდოდა მეყვირა: „მკვლელო! გარეწარო!“ მაგრამ გამბედაობა აღარ მყოფნიდა... საკუთარ თავთან კამათმა ხომ სულ გამომასავათა. ზოგჯერ ისე გამოვითიშებოდი, რომ ორჯერ კინაღამ მანქანამ გამიტანა ქუჩაში. ბოლოს საკუთარი თავი თითქოს დავარწმუნე იმაში, რომ ის მოკლული ალბათ დამნაშავე იყო, თორემ სასიკვდილოდ ფულისთვის როგორ გაიმეტებდნენ-მეთქი. იმას უკვე არაფერი ეშველებოდა, ვერაფერი გააცოცხლებდა და მეორე სიცოცხლეც ტყუილად უნდა შეწირვოდა. ერთის ცოლ-შვილი ხომ დაობლდა და დაობლდა, ახლა სხვებიც უნდა გაუბედურებულიყვნენ. ესეც არ იყოს, იმ კაცს მე სულაც არ ვიცნობდი. ის უცხო იყო ჩემთვის. უცხო კი არა, სულაც არ არსებობდა იმ წყეულ ღამემდე, რაღაც წამით მომელანდა და ისევ თვალს მიეფარა. ასეთი ადამიანისათვის უნდა გამეწირა კარის მეზობელი და მისი ცოლ-შვილის ცოდვა მე მთელი ცხოვრება მეზიდა.

ხომ ასე ვარწმუნებდი ჩემს თავს, მაგრამ მაინც რაღაც მაწვალებდა. ეს იყო უტყვი, მაგრამ მკაცრი და ძლიერი ძალა, რომელიც ყველგან თან მსდევდა. მე გავურბოდი მას, მის მზერას. ზოგჯერ მის წინაშე ხაზგასმული უდარდელობით სიმღერას დავიწყებდი ან მოჩვენებითი გულითადობით ვეძგერებოდი საქმეს, მაგრამ რაღაც წუთები გაივლიდა და უცებ ვხედავდი, რომ აღარ ვმღეროდი, ან თუ ვსაქმობდი, უკვე არაფერს არ ვაკეთებდი, ხოლო იმ დაჟინებულ მზერას უბეში ჩავარდნილი ნაკვერცხალივით ვგრძნობდი... მივხვდი, ყველაზე მეტად ამ მზე-

რის მეშინოდა და უბედურობა ის იყო, რომ მჯეროდა, მისგან გასაქცევი გზა არ არსებობს-მეთქი.

ერთ დილას დედაჩემისა და მამაჩემის ასეთ დიალოგს მოვკარი ყური:

— გიორგი, რაღაც სასიკეთო არ ჭირს ამ ბიჭს, კაცო, რაც მეურნეობიდან დაბრუნდა, ვეღარ ვცნობ. გახდა, არ ჭამს, მთელი ღამე ბორგავს, დღეა და, დაჯდება გაკვეთილების მოსამზადებლად, გადაშლის წიგნს, მერე გაუშტერდება თვალი და საათობით ზის, ასე, გაუტოკებლად. ზურაბ მასწავლებელი შემხვდა გუშინ და მითხრა, სამი ორიანი მიიღოო. როგორ არ ვუტრიალე, მაგრამ არაფერს მეუბნება. შენ დაელაპარაკე, ეგებ გითხრას რამე. მე მხოლოდ იმისი მეშინია, ავად არ იყოს. ხომ იცი, სწორედ ამ ასაკში ხდება ორგანიზმში ყველაზე დიდი ფიზიკური გარდატეხები, ჰორმონული ცვლილებები, — დედა, როგორც ექიმი, თავის ენაზე გადავიდა.

— ნუ ღელავ, მარიამ, ავადმყოფობისა მაგას არაფერი ეტყობა. ვნახოთ, ვაცალოთ ცოტა ხანი, — დაამშვიდა მამაჩემმა.

სკოლაშიც, რა თქმა უნდა, ყველას ყურადღება მივიქციე. ახლა ყველა მასწავლებელი თავს მოვალედ თვლიდა დიდი თანაგრძნობით ეკითხა, ნიკა, რა მოგივიდაო. ეს კიდევ უფრო მაღიზიანებდა და ნერვებს მიშლიდა.

ერთ დღეს გაკვეთილზე ბიძინამ მხარი წამკრა. უაზროდ შევხედე.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა.

გამოვერკვიე და მასწავლებელს შევხედე, რაღაცას ყვებოდა. მერე ბიძინას შევხედე და წავჩურჩულე:

— იცი, რა მინდა?

— რა? — ყურადღებით შემომხედა.

— ყმუილი.

— რა გინდა?! — ალბათ მომეყურაო, იფიქრა.

— ყმუილი! — უფრო ხმამაღლა ვუთხარი. — მინდა ვიყმუვლო დეკემბრის ყინვიან ღამეში უპატრონოდ დარჩენილი ძაღლივით.

ბიძინამ ერთხანს უსიტყვოდ მიყურა და მერე მითხრა:

— ვხედავ, რაღაც გაწუხებს, მე კი არ მიმხელ, ესაა ჩვენი მეგობრობა? — აშკარად ეტყობოდა, რომ ნაწყენი იყო.

გაკვეთილის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ქეთის მზერას წავაწყდი. მეჩვენა, რომ რაღაც აფორიაქებული იყო. როგორც კი ზარი დაირეკა, ბიძინას ჩვენკენ არც გამოუხედავს, უსიტყვოდ ადგა და მასწავლებელთან ერთად ოთახიდან გავიდა. ქეთი ჩემთან მოვიდა და წინ დამიჯდა.

— წიგნი მოგიტანე, ნიკ. მაპატიე, რომ ამდენი ხანი დაგიგვიანე — მეორედ წავიკითხე.

— რა წიგნი? — უცებ გონი ვერ მოვიკრიბე.

— „მარტინ იდენი".

— აჰა. მოგეწონა?

— ძალიან. ასეთი ნებისყოფა უნდა ჰქონდეს ადამიანს და ყველაფერს მიაღწევს. ის კი საძაგელია.

— ვინ?

— რუფი.

— ვინ იცის, მის ადგილზე იქნებ შენც ასე გაგეკეთებინა.

— ასეთად მიცნობ? — აშკარად ეწყინა.

— არა, მე ისე ვამბობ. კაცმა არ იცის, ვინ რას მოიმოქმედებს.

— მე შემიძლია თავგანწირვა, — თქვა ქეთიმ.

მხრები ავიჩეჩე.

— რა, არ გჯერა?

— მჯერა.



— ნიკ, თუ საიდუმლო არ არის, მითხარი, რატომ ხარ ასე?

— როგორ?

— როგორ და, მოწყენილი ხარ.

— არა ვარ მოწყენილი, მოგეჩვენა, — ვთქვი და გავუღიმე.

ზარი დაირეკა. ქეთი ადგა, რაღაცნაირად, მრავლისმეტყველად შემომხედა და თავისი მერხისკენ წავიდა. ზარის ხმას რვეულებით დატვირთული ალგებრის მასწავლებელი შემოყვა. ახლა გამახსენდა, ორი დღის წინ მასწავლებელმა, საკონტროლო წერა გექნებათო, რომ გაგვაფრთხილა.

მასწავლებელს ჟურნალი არ გაუშლია, მორიგეს ჰკითხა, ხომ არავინ გვაკლიაო. როცა მორიგემ უთხრა, ყველანი ვართო, დაფასთან მივიდა და მაგალითების სამი ვარიანტი ჩამოწერა. ჩემი რიგის ამოცანას თვალი რომ გადავავლე, მივხვდი, მორიგი ორიანი განაღდებული მქონდა.

— SOS! — გაისმა საგანგაშო სიგნალები. ატყდა დახმარების მაძებართა წრიალი, ფუსფუსი. მთელ კლასში

გარკვევით გაისმა მაგიდაზე მასწავლებლის თითების კაკუნი.

— რას შვრები? — მეკითხებოდნენ ჩემი ვარიანტელები. მე კი ვიჯექი და ამქვეყნად ახალმოვლენილივით უაზროდ დავცქეროდი მაგალითს. არადა, ამასწინებზე მსგავსი მაგალითები ბლომად ამოგვახსნევინა მასწავლებელმა.

ბიძინა ერთხანს თითქოს ვერ ამჩნევდა ჩემს გასაჭირს, მერე მაინც ვერ მოუთმინა გულმა:



— ხომ არ გიჭირს, მითხარი. რაში დაგეხმარო?

— შენს თავს მიხედე! — რატომღაც გავღიზიანდი.

ბიძინამ მხრები აიჩეჩა და თავის მაგალითს მიუბრუნდა. მე კი ისევ ისე გაუტოკებლად ვიჯექი.

— ჩიქოვანო, არ აპირებ გამოყვანას? — ხმამაღლა მკითხა მასწავლებელმა.

— არ გამოდის, მასწავლებელო, თუ ნებას მომცემთ, ოთახიდან გავალ, — ფეხზე წამოვდექი.

ქეთიმ შემომხედა.

— დაჯექი და ტვინს ძალა დაატანე!

ნერვები, იცოცხლეთ, მომეშალა. საკუთარ თავზე გავცოფდი. მზად ვიყავი კედლისთვის მერტყა თავი. ღმერთმანი.

კლასში სიჩუმე იდგა. დრო კი მიჰქროდა.

ვიჯექი და ფურცლებზე რაღაც გაურკვეველ ფიგურებს ვჯღაბნიდი. უცებ ცხვირწინ დაკეცილი ფურცელი დავარდა. ავიხედე. წინა მერხიდან ნათელამ წამჩურჩულა:

— ქეთიმ გადმოგაწოდა.

ქეთის შევხედე. თვალებით იღიმებოდა. ფურცელი მერხქვეშ გავშალე. დავხედე და სიხარულისგან გული შემითრთოლდა. ჩემი რიგის ამოცანა თავიდან ბოლომდე ჩაწიკწიკებული იყო. ახლა ზარამდე როგორმე უნდა მომესწრო, თორემ შოთა მასწავლებელი. საკონტროლო წერის დროს, რომც კვდებოდე, ზარის მერე წერტილს არ დაგასმევინებს.

უკანასკნელი წერტილი დავსვი და ზარიც დაირეკა.

— რაო, ჩიქოვანო, ხომ შეგძლებია? ასე თუ გავაგრძელებთ, უკვე შავი კატა სტარტზე დგას! — მრავლისმეტყველად მითხრა მასწავლებელმა და რვეული ჩამომართვა.

მეორე დღეს მოღუშულმა ალგებრის მასწავლებელმა დაფასთან ქეთი გაიძახა და გუშინდელი მისი ვარიანტის მაგალითი უკარნახა.

კლასში სიჩუმე იდგა და თვალს ვადევნებდით ქეთის ხელს, რომელსაც დაფაზე სწრაფად გამოჰყავდა ციფრები. ქეთიმ ამოცანის ამოხსნა დაამთავრა. ცარცი დაფაზე შემოდო და თითები ცხვირსახოცზე შეიწმინდა.

— წერეთელო, გუშინ რატომ ვერ ამოხსენი?

— რაღაც ვერ გამომივიდა, პატივცემულო.

გულმა ისეთი ბაგაბუგი ატეხა, მომეჩვენა, მკერდს გამომინგრევს-მეთქი. „ქეთიმ თავისი ამოცანის მაგივრად ჩემი გამოიყვანა, თვითონ კი ორიანი მიიღო". — გავიფიქრე. თავს ძლივს ვიკავებდი, რომ მთელი კლასის გასაგონად არ მეყვირა: „ქეთიმ ეს ჩემი გულისთვის გააკეთა!"

სკოლაში ქეთისთვის არაფერი მითქვამს. არც ქეთის გამოუხედავს ჩემკენ. სახლში დედას ქვეშაგები გასამზეურებლად ეზოში გამოეფინა და ახლა თექებზე შემდგარი პარკეტს აპრიალებდა. ერთხანს უთავბოლოდ ვიბორიალე ხან ოთახებში, ხან ეზოში. მერე დედას ვუთხარი, შოთა მასწავლებელთან მივდივარ, ამოცანაში უნდა გამარკვიოს-მეთქი, და სახლიდან გავედი.

შოთა მასწავლებელთან მისვლა ახლა ძალიან არ მეხალისებოდა, მაგრამ რომ ავწონ-დავწონე და დავფიქ-

რდი, მივხვდი, შოთა მასწავლებლის მოტყუება უსინდისობა იქნებოდა — ძალიან ვუყვარდი და ჩემგან არ ელალატებოდა.

მასწავლებელი შინ დამიხვდა. ვენახში საქმიანობდა. ჩემი დანახვა გაუხარდა. შინ შევიდეთო, დაფაცურდა.

— არა, პატივცემულო მასწავლებელო, მე ერთი წუთით მოვედი, — ვუთხარი და ჭირის ოფლმა დამასხა. სათქმელზე წინასწარ არც მიფიქრია. რატომღაც მეგონა, ადვილად ვეტყოდი, მაგრამ გამიძნელდა.

— შოთა მასწავლებელო, გუშინ მე მოგატყუეთ. ჩემი ამოცანა მე კი არა, ქეთიმ გამოიყვანა, — ვთქვი უცებ და შვება ვიგრძენი.

მასწავლებელმა შემომხედა. მე განზე გავიხედე და ამ წამიერ სიჩუმეში გულში ვინატრე, ნეტავ ახლა ჭკუის დარიგება არ დამიწყოს-მეთქი, მაგრამ მასწავლებელმა მხოლოდ ეს მითხრა:

— მადლობელი ვარ, ნიკა, მადლობელი!

— კარგად ბრძანდებოდეთ, შოთა მასწავლებელო. — ვიგრძენი, რომ გავწითლდი.

— კარგად, ჩემო ბიჭო. მაგალითებში გარკვევა ხომ არ გინდა?

— არა, უკვე ვიცი, მასწავლებელო.

რაიონის ცენტრში გამოვედი. ჯიბეებში ორკაპიკიანი მოვიძიე და ტელეფონის ჯიხურში შევედი, ყურმილი ავიღე და ნომერი ავკრიფე. „ნეტავ, ქეთი მოვიდეს ტელეფონთან", ვინატრე.

ყურმილი მართლაც ქეთიმ აიღო.

— ბატონო.

წამით ხმა ვერ ამოვიღე.

— ალო, გისმენთ! — ახლა უფრო გარკვევით მომესმა.

— როგორა ხარ, ქეთი?

— უი, ნიკ, საიდან რეკავ?

— მარსიდან. მართალია, ამ ბოლო დროს მარსი მოდაში არაა, მაგრამ ხომ იცი, მე კონსერვატორი ვარ.

— კარგი, ნუ მაიმუნობ.

უცებ სერიოზული ხმით ვეუბნები:

— ქეთი, იცი, რა ცუდადა ვარ?

— რა იყო? რა მოგივიდა? — შეშფოთდა ქეთი.

— მიოკარდის მწვავე ინფარქტი მივიღე, მაგრამ ვიდრე სულს მიქელ-გაბრიელს ჩავაბარებდე, მინდა გნახო. შეგიძლია?

— იცი, რა მაიმუნი ხარ, როგორ შემაშინე! — მოჩვენებით გამიბრაზდა, მერე ისევ შეიცვალა ხმა. — ნიკ, მე რომ ტრანსპორტის საქმე ცუდად მაქვს, რა ვქნა? ძალიან მინდა გნახო, მაგრამ მარსამდე ვერ ამოვფრინდები.

— არა უშავს, მე უკვე ჩამოვედი, ქეთი. აგერ, შენი ფანჯრის წინ ვდგავარ.

ქეთი რაიკომის გვერდით, ცხრასართულიანი სახლის მესამე სართულზე ცხოვრობდა.

— კარგი, მოვდივარ!

მე კიდევ ერთხანს მეჭირა ყურმილი ტუ... ტუ... ტუ... — მესმოდა სადღაც შორიდან.

ქეთიმ კიბე მსუბუქად ჩამოირბინა და მომიახლოვდა. ჯინსის შარვალსა და წითელ როლინგსტონში ისეთი ლამაზი იყო, სიმღერა მომინდა.

ყურმილი დავკიდე, ჯიხურიდან გამოვედი და ხელი დავუქნიე. დამინახა და ჩემკენ სირბილით წამოვიდა.

— ნიკ, იცი, რა ცუდი ვინმე ხარ? — შორიდან შემომიტია, თან წინ ჩამოშლილი თმა ისე ლამაზად გადაიყარა უკან, რომ გავიფიქრე, ალბათ არავის ქვეყნად არ შეუძლია ასე ლამაზად გადაიყაროს თმა მხრებზე-მეთქი. — როგორ შემაშინე! მომეჩვენა, თითქოს მართლაც ცუდად იყავი.

— ეგ არაფერი. შენი ძალიან დიდი მადლობელი ვარ, ქეთი, მაგრამ არ უნდა გექნა ასეთი რამ.

— რაზე მელაპარაკები?! — უცებ წარბები აძგიბა.

— ამოცანაზე. მე არა ვარ ამის ღირსი!

— მე ასე მინდოდა, — სახე ამარიდა.

რაღაცის თქმა დავაპირე, ვერაფრით კი ვერ მოვიფიქრე და უცებ დამებადა აზრი, ქეთისათვის მეთქვა ჩემი გასაჭირი. პირიც კი დავაღე, მაგრამ უკანასკნელ წამს ისევ გადავიფიქრე. ამ საქმეში არავის ჩარევა არ იქნებოდა და გადაწყვეტილება ერთბაშად მივიღე...

ერთხანს ჩუმად მივყვებოდით პალმებითა და ლუგუსტრემებით დაბურულ ტროტუარს. წყნარი, მსუბუქი საღამო იყო.

— ნიკ, ხვალ ჩემი დაბადების დღეა. თხუთმეტი წლისა ვხდები, გესმის, ნიკ?! — თხუთ-მე-ტის! — დამარცვლით გაიმეორა.

— მომილოცავს.

— ჯერ ნაადრევია. ხვალ მომილოცე. გუშინ ისე ვიჩხუბე სახლში, რომ ყველა გავაკვირვე.

— რატომ?

— მე ხომ ყოველთვის ისეთ დაბადების დღეს მიხდიან, რომელზეც უამრავი ხალხი იყრის თავს. მე კი მინდა ჩემს დღეობაზე მხოლოდ ჩემი მეგობრები იყვნენ. კატეგორიულად განვაცხადე, ხვალ მხოლოდ ჩემი მეგობრები უნდა იყვნენ, ხოლო თქვენ თუ ქეიფი გინდათ, მეორე დღეს მოიყარეთ თავი და რაც გინდათ, ის გააკეთეთ-მეთქი.

შემრცხვა, რომ მეთქვა, ჩემთანაც ასეა-მეთქი. განა მარტო ჩემთან, მე ვისაც ვიცნობ, ყველასთან.

— მერე, როგორ გადაწყდა?

— როგორც მე მინდოდა. ხვალ მხოლოდ ჩემი მეგობრები იქნებიან.

— მეც მოვიდე?

— თუ არ გსიამოვნებს, შეგიძლია არ მოხვიდე, — ხმაში წყენა გაერია.

— როგორ გეკადრება, პირველი მე მოვალ.

— რომელი საათია, ნიკ?

რაიკომის წინ საათს შევხედე.

— რვის ოცი წუთია.

— და უკვე ღამეა!

— ჰო, დღემ ძალიან იკლო. მალე ღამდება.

როცა ღამდება, ბნელი და მძიმე
ლანდები როცა იწყებენ რიალს,
როცა ხურავენ ფანჯრებს და იმედს,
გზა გასაქცევად არ რჩება ღია"... — ვთქვი ხმამაღლა.

— მომეწონა. ვისია, ნიკ?

— არ ვიცი, საიდანღაც დამამახსოვრდა.

— შენ გიყვარს ლექსები, ნიკ?

— კი. პოეზია ძალიან მიყვარს. შენ?

— მეც ძალიან. ასე მგონია, რომ ჩემი სული ლექსებშია მიმობნეული და როცა ვკითხულობ, ისევ მე მიბრუნდება. განსაკუთრებით გალაკტიონისთვის ვგიჟდები.

— შენ თუ გაქვს გალაკტიონის რჩეულის ბოლო გამოცემა?



— არა, მე თორმეტტომეული მაქვს. რატომ მეკითხები?

— თორმეტტომეული მეც მაქვს, მაგრამ ბოლო რჩეული ძალიან კარგია. ხვალ მოგიტან.

— მადლობელი ვარ, ნიკ. საით მივდივართ?

— სამყაროს კიდისკენ. გიყვარს მოგზაურობა?

— ძალიან, ძალიან. თანაც, თუ გვერდით ისეთი ადამიანი გახლავს, რომელთანაც გიხარია ყოფნა.

— ჩემთან? — წამომცდა და უცებ ვიგრძენი, რომ წამით გული გამიჩერდა. ხოლო ყურებში ერთბაშად ისეთი ქარიშხალი ჩამიდგა, ხმაურმა ლამის ქვეყანა წალეკა.

— მართალი გითხრა, შენთან ყველგან წამოვიდოდი, ნიკ, — წყნარად მითხრა.

თითქოს რეტი დამესხა. რომ არ წავქცეულიყავი, იქვე ხეს მივეყრდენი, და გამიკვირდა, რომ ისევ მიწაზე ვიდექი და ქეთის შევყურებდი, მაშინ, როცა მეჩვენებოდა, საცაა მიწას მოვწყდები და ჰაერში ავფრინდები-მეთქი.

— ქეთი, — ხმა ძლივს მომწყდა ბაგიდან.

— ჰო, ნიკ. — ალანძული ქეთი რაღაცის მოლოდინით სავსე თვალებით შემომცქეროდა.

— ქეთი, შენ იცი, რომ ზღაპარი გოგო ხარ?

— გეჩვენება, ნიკ.

— არა, ქეთი, მე არაფერი მეჩვენება. შენ ძალიან, ძალიან ლამაზი და კეთილი ხარ! — ვთქვი და სახეზე ჩამოშლილი თმები უკან გადავუწიე. შევხედე თუ არა მის ხავერდივით შუბლს, რაღაც საოცარმა ძალამ ჟრუანტელად დამიარა ტანში. ეტყობა, ამ ძალამ ქეთიც შეაკრთო, იგი ერთბაშად წელში გასწორდა და აჩქარებით თქვა:

— ნიკ, რა დრო გასულა, დავბრუნდეთ, თორემ შინიდან ისე წამოვედი, არც კი დამიბარებია.

ქეთი უსიტყვოდ მივაცილე სახლამდე.

— ღამე მშვიდობისა, ქეთი!

— ღამე მშვიდობისა, ნიკ! — ხელი გამომიწოდა. შევხედე, თვალები უცნაურად უციმციმებდა და აფორიაქებულივით იყურებოდა აქეთ-იქით. — შეხედე, ნიკ, შეხედე!

მის მზერას თვალი გავაყოლე და უცებ ვიღაცამ ლოყაზე მაკოცა. მივიხედე და ქეთი უკვე კიბეზე არბოდა.

გავოგნდი და ერთხანს ასე მოჯადოებულივით ვიდექი. მერე, როცა ჩემამდე დავიდა, რაც ამ წუთში მოხდა, ერთბაშად მომაწყდა უზომო სიხარული და საოცარი ძალა. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ დღეიდან ცხოვრებაში წინ ვერაფერი დამიდგებოდა, ჩემთვის მიუწვდომელი მიზანი არ იარსებებდა. თუ მოვისურვებდი, მთებსაც შევძრავდი. თან ბავშვივით ხტუნვა, სირბილი, ყვირილი მომინდა. ამ საოცარ წუთებში უცებ თვალწინ დამიდგა ტბის ნაპირზე დატრიალებული ამბავი. გამიკვირდა, ასეთ რამეს აქამდის როგორ ვითმენდი. წელში გავსწორდი, ნელა მოვტრიალდი და მხრებგამართული, მტკიცე ნაბიჯებით წავედი მილიციისაკენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიღაც ქვეყანაში ბავშვები ცურვას სიარულზე უფრო ადრე სწავლობენო. ნატანებელ ბავშვებს 3 წლიდან უნდა ვასწავლოთ წყალში ხელ-ფეხის ქნევა და... ეს პროექტიც საცურავი აუზისაა. ეს მეორე კი სპორტის სასახლეა, აქ გამართული ასპარეზობები მთელი მსოფლიოსათვის უნდა გადაიცეს! — ასეთია ნატანებლების ნება-სურვილი, ჰოდა, მეც თანასოფლელთა სურვილის აღმ-

თავმჯდომარეს მოცლა არა აქვს, სოფლის საქმე ვერ ითმენს... მომსვლელს უნდა უპასუხოს...

შემდეგ დეპუტატი ვალავ მოგვიბრუნდა.

— არ გეგონოთ, რასაც ნატანებლებმა მიაღწიეს, ყველაფერი ჩემს დროს გაკეთდა. კაი თავმჯდომარე ჰყავდათ, ვლადიმერ ჯაბუა, გურიაში ერთ-ერთი პირველი სოციალისტური შრომის გმირი. მის დანატოვარ წელგამართულ სოფელთან ერთად 21 გმირი დამხვდა...

— ჩვენში ამბობენ, შვილი მოვალეა, მამა-პაპის დანატოვარს გაუფრთხილდეს, ეზოს ჭიშკარი მაინც

ნათელა
ფაილოძე

# ჩვენი კალა მეშოჭნოჭაუშია

**შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი წითლიძესთან.**

იტყვიან, მასპინძლის გული მისი ეზოს შესასვლელიდანვე იგრძნობაო. ნატანებში გზა კოლმეურნეობის კანტორისაკენ პირველშემხვედრმა, რუსული აქცენტით ქართულად მოსაუბრე ქალმა მიგვასწავლა — აქედან არც ისე ახლოსაა, ახლავე მანქანას გავაჩერებო... და ყველაფერი სწრაფად მოაგვარა.

სახელი ვკითხეთ. კლარა მქვიაო, — მოასწრო თქმა და მანქანაც დაიძრა.

თავმჯდომარე სოფლის მოედანზე კოლმეურნეებში ჩამდგარი დაგვხვდა.

დილის მოწმენდილი ციდან წამოსულ მზის სხივებს კოლმეურნეობის კანტორის ფასადი ოქროსფრად მოეჭარგა, იქიდან გვერდით მდგომ სკოლას გადასწვდებოდა, მის თაღებს შემოხვეოდა...

თავმჯდომარესთან ერთად მივყევით მზის სხივებს.

თავმჯდომარის ოთახის კარზე წარწერაა: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ოთახი". კაბინეტში შესვლისთანავე კი ყურადღებას სრა-სასახლეთა პროექტები იპყრობს.

თავმჯდომარეს გაეღიმა...

— ერთმა ტელეგადაცემამ გვიამბო, სრულებელი ვარ, — ხელები გაშალა მასპინძელმა.

— ეს პროექტები უკვე კარგა ხანია სოფელში გადასახლდა. გახედეთ კანტორისა და სკოლის ორსავე მხარეს — ამ ნაგებობათა დამთავრებაა ბევრი აღარ უკლია — ერთი საბავშვო ბაღია თავისი საცურავი აუზით, მეორე — სპორტის სასახლე. ახლა ამას დახედეთ (თავმჯდომარემ ორთფეხებზე შემდგარი ფიცრული ქოხის სურათი გადმოიღო), ჩვენებურმა პირველმა მასწავლებელმა გერასიმე ბოლქვაძემ გადმოიცა. აი, ეს წაფერდებული სახლი იყო უწინ ნატანების სკოლა. ამ აივანზე მიხეილ ჭიაურელსა და ალექსანდრე წუწუნავას ნატანების ისტორიაში პირველი წარმოდგენა გაუმართავთ. მიხეილ ჭიაურელს არაერთხელ უთქვამს შემდეგ, რაც მაშინ დღე დაგვადგა, ნატანების გაგონებაზე ახლაც ჟრუანტელი მივლისო.

— სკოლაში რომ გადახვალთ, ამ სკოლის წარსულზე ჩემი შვილიშვილი უკეთ მოგიყვებათ, ისიც გივი წითლიძეა, რაზმეულის თავკაცი, თავმჯდომარე, — ეღიმება მასპინძელს.

საუბარი კოტახნით გადაიდო...

უნდა ჩამოკიდოსო. ჰოდა, დავკიდე ეს ჭიშკარი ნატანებელთა ადგილმამულს და აი, 30 წელია, დარაჯად ვუდგავარ ყველაფერს. — იცინის მასპინძელი.

— ახლა რომ კოლმეურნეობის ცენტრია, ამ ადგილს ადრე შავას ეძახდნენ. უღარიბესი უბანი იყო... შავა, ახალშენი, ნარუჯა, ნაფაცხარი! კი შემორჩა ეს სახელები ჩემს სოფელს; მაგრამ ამ 60 წლის მანძილზე ნატანებლებს შენების მეტი რა გვიკეთებია. ახლა სოფლის ის პირველი მასწავლებელი რომ წამოახედა, აქაურობას ვეღარ იცნობს.

— სოფელში კლიმატი შეიცვალა. ჭაობების ამოშრობის შედეგია ეს. ჩაით, ციტრუსით, ხვავითა და ბარაქით აავსო მიწამ ნატანები. მალარიით დაავადებულები კომშივით ვიყავით გაყვითლებული, ჭაობის ამოშრობამ კი ციების სახელიც დაგვავიწყა.

— მოსკოვში ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, ამბობენ, დეპუტატ გივი წითლიძისა და ნატანების დღეები განუყოფელიაო, რომელია მათ შორის ყველაზე სასიხარულო, გთხოვთ, გაიხსენოთო.

უკებ გამიჭირდა კიდეც პასუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის თქმალა მოვახერხე: რა გახსენება მინდა, აქ რომ ტრიბუნაზე ვდგავარ და მოსკოვიდან მთელ ქვეყანას, მსოფლიოს ნატანებელთა სახელით ვეხმიანები, ამაზე დიდი სიხარული რა უნდა იყოს-მეთქი!

ნატანებლები იყვნენ მუდამ ჩემი მეგზურები, მაშინაც, ფრონტიდან დაბრუნებულმა 4 წელი მათ გვერდით რიგით კოლმეურნედ რომ ვიმუშავე, და მერეც... აკი გითხარით, ჩვენი დღეები განუყოფელია-მეთქი. მართალი გითხრათ, არ მეგონა, ამდენ ხანს მათ თავკაცად მუშაობას თუ შევძლებდი, ნატანებლები იმფერი ხალხია, იმათ ნება-სურვილს ვერ გადაუხვალ. თქვენ რომ კლარა შეგხვდათ, რუსია, ქართველზე გამოთხოვილი. ჩვენთან უკრაინელებიც ცხოვრობენ. ნატანებლები რომ ინტერნაციონალისტები არიან, ეს მსოფლიომ იცის, — ამაყად ამბობს მასპინძელი. — მეკითხებით, საიდან? საიდან და 80 სახელმწიფოს წარმომადგენელია ნამყოფი ჩვენთან სტუმრად მისი ცხოვრების გასაცნობად. ამის მაგალითი შრომელებისაგან გადავიღეთ, გეცოდინებათ, იქაური თავმჯდომარე მიხაკო ორაგველიძე ჩემი დამრიგებელია!

ნატანებში სახლი ენატრებოდათ, ახლა ჩვენთან სახლები სპეციალური პროექტით შენდება, სოფელს აქვს 3 დაწყებითი და საშუალო სკოლა, მუსიკალური შვიდწლედი, კულტურის სახლი, ავტოსკოლა, 5 ბიბლიოთეკა, კოლმეურნეობის სანატორიუმი, სამედიცინო, სავაჭრო პუნქტები, საყოფაცხოვრებო კომბინატები, გამოდის მრავალტირაჟიანი გაზეთი. საკუთარი მანქანა, გაზი, ტელეფონი, ტელევიზორი, რადიო და ელექტროგანათება უკვე ვის უკვირს? მოსკოვიდან ავტომატითაც კი შეიძლება ჩვენს კოლმეურნეობასთან დაკავშირება. ეს სიზმარი, ზღაპარი კი არა, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებაა, ჩვენი საბჭოთა სინამდვილეა.

**... თავმჯდომარისა და დეპუტატის დღე სავსეა თანასოფლელთა, 1600-ზე მეტი კომლის ბედზე ფიქრით, ყველაზე მეტად—ახალგაზრდებზე ზრუნვით.** 5 ნატანებელი გაგზავნა მან იმ სასწავლებელში, სადაც ადრე თვითონ სწავლობდა. სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან დავით მამარდაშვილი და მისი მეგობარი ჭაბუკები და ორი წლის მანძილზე ყველას ენახება საშუალო ხელფასი, იმ პირობით, თუ ნატანების სახელს იქ არ შეარცხვენენ. პოლიტიკური და საბრძოლო მომზადების ფრიადოსნები იქნებიან და მათი ოჯახის ყველა წევრიც წვლილს შეიტანს საკოლმეურნეო შრომაში. შეღავათები სხვაც ბევრია. პირველი კლასიდან მე-10-ს ჩათვლით მოსწავლეებს კოლმეურნეობა უფასოდ აძლევს სახელმძღვანელოებს. მათ გადაყვანას სოფლის სხვადასხვა უბნებიდან კოლმეურნეობის სპეციალური ავტობუსი ემსახურება, ასევე უფასოდ. საუზმეც უფასოდ ეძლევათ სკოლაში.



ორივე თავმჯდომარეს თავისი საზრუნავი აქვს, მაგრამ მიზანი ერთია — ადამიანთა ბედნიერებისათვის ზრუნვა.

თავმჯდომარეს ისევ ეღიმება.

— მაგრამ უფასოდ იმათ ვემსახურებით, ვინც აქტიურ საზოგადოებრივ შრომას ეწევა, არ არღვევს სოფლის კანონებს, კაცური კაცია და მთელი თავისი ცხოვრებით უპასუხებს აი, იმ ლოზუნგს, სოფლის დასაწყისშივე დიდ ფარზე რომ დაგხვდათ: „გადავაქციოთ ნატანები მაღალი კულტურისა და სანიმუშო წესრიგის სოფლად“. განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას ვემადლიერებით, მხარში მიდგანან...

ჩვენი ბავშვთა ანსამბლები ბევრჯერ გამოსულან კრემლის ყრილობათა სასახლეშიც. 1982 წლის დეკემბრის ბოლოს მოსკოვიდან საკავშირო ტელევიზიამ სპეციალური გადაცემა მოაწყო: „ბავშვები ნატანებიდან“. ერთი მითხარი, შეეძლო ამაზე ეოცნება იმ პირველ მასწავლებელს. ბეგლარ ბოლქვაძეს? რა თქმა უნდა, არა. არ უნდა დაგვავიწყდეს, როგორ ვცხოვრობდით და რას მივაღწიეთ 60 წლის მანძილზე. უნდა გვახსოვდეს მამების ამაგი.

— „მამების გამოცდილება — შვილებს!“ როგორ წარმოგიდგენიათ ეს?—მკითხა ერთხელ რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ოთარ ქინქლაძემ.

— როგორ და ასე-მეთქი, და მამაჩემზე ვუამბე. 1954 წელს (მაშინაც დეპუტატი ვიყავი) ნატანებლებს უკვე კარგად იცნობდნენ. ერთ დღეს რაიონულ გაზეთში აბრეშუმის ჭიის გამოკვების ცხრილში ჩამორჩენილებს შორის ვეწერე. მამაჩემს ენახა. საღამოს ამხანაგთან ერთად შინ მობრუნებულმა სუფრის გაშლა რომ მოვითხოვე, შემარცხვინა, არ გეკუთვნისო, მითხრა, და მე და ჩემი მეგობარი სუფრას არ გაგვაკარა. ამ ამბავს ხშირად ვიხსენებ ჩემს გოგოსთან, თუ შემარცხვინე და შენი რაზმეული რამეში ჩამორჩა, მამაჩე-

მის მაგალითს გაგიხსენებ-მეთქი, ვპირდები.

12-13 წლის ნატანებელმა ბიჭმა სოფლის მთელი ასავალ-დასავალი უნდა იცოდეს, ასეთი კანონი გვაქვს. არ მინდა, თქვენ, სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, პატარა გივი წითლიძე საქმეში ჩამორჩება და ფეხს ვერ გვიწყობსო. ერთხელ ჩაის კრეფაში გაგვიჭირდა. მოზღვავებულ ლორთქო დუყებს მკრეფავის ხელი არ ეყო... ჰოდა, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის, ჩემი გივის მეთაურობით 400 პიონერი ამომიდგა გვერდში — 26 ტონა ჩაი მოკრიფეს. ეს რომ მაშინ აქ ჩამოსულმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა გურამ მგელაძემ შეიტყო, ხუმრობით მითხრა, გივი წითლიძე მიხაკო ორაგველიძემ აღზარდა, გივი კიდევ გივი წითლიძეს ზრდისო... ეს ჩვენი მოვალეობაა. პიონერების დახმარების იმედი ყოველთვის მაქვს.

პიონერების თავკაცს უნდა ახსოვდეს, რომ წარმატებაა ცხოვრებაში მხოლოდ გვერდში მდგომთა მხარდაჭერით შეძლებს.

მეგობრობა დიდი რამეა. 1938 წლიდან ჩვენი სოფელი შრომაში ეჯიბრება სომხეთის რესპუბლიკის სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეებს. ჩვენი მეგობარი ნატანებელი ბავშვების მეგობარიც არის; გვაქვს მეგობრობის ქუჩა, მეგობრობის ბაღი; და პიონერებმა იციან, რომ ასეთივე ბაღი გაშენებულია ნალბანდიანში.

მეგობრები სხვაგანაც გვყავს; ყველაფერი კი ქვეყნის შუაგულიდან, მოსკოვიდან მოდის.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენაზე ნატანებლებს ცალკე ადგილი აქვთ გამოყოფილი, აქ ჩვენი ბავშვების წვლილიც არის წარმოდგენილი. მართალი გითხრათ, ცენტრალურმა ტელევიზიამაც შეგვძინა ბევრი მეგობარი. მაყურებელი იმახსოვრებს მისამართებს. ერთი სიტყვით, მივეჩვიეთ ქვეყნის ყურადღებას!

ნატანების მეგობარი ჩემი მეგობარია და პირიქით; ისინი ბევრნი არიან. ყველა ერთად ერთ დღეს ნატანებში რომ შემაკრებინა (ეს ასედაც მოხდება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმზე), ამას ჩემი გივის რაზმეულის, მისი მეგობრების — ალეკო ჩხიკვაძის, ბაჩუკი მენაბდის, ზაზა ცენტერაძის, მაია ცეცხლაძის, მზია ტუღუშის, ზაირა რუხაძის, კახა წითლიძის მეგობრებიც რომ მიემატოს, — მათ ყველას ერთად ჩვენი კანტორის წინ მოედანზე შევკრებდი და ვეტყოდი,— ჩემო კეთილებო, დაიმახსოვრეთ:

**პირველი:** აქ, ამ ადგილზე რომ უზარმაზარი სიკეთე აღმოცენდა, ეს ყველაფერი მეგობრობის დახმარებითაა; მაშ, კვლავაც ვთესოთ მეგობრობა.

**მეორე:** კარის მეზობლის პატივისცემას გირჩევთ. მეზობელი დიდი ძალაა. მისი იმედით მუდამ წელგამართული ხარ, ვერავინ წაგაქცევს.

**მესამე:** იმეგობრე ადამიანებთან, განურჩევლად მათი კანის ფერისა, ეროვნებისა და ენისა. ამ დროს უსათუოდ ჩემს ფრონტელ მეგობრებს გავიხსენებდი. ფრონტზე ხომ ეროვნება არ არსებობდა. მხოლოდ მებრძოლთა ურთიერთგატანა, მხარში ამოდგომა და სიყვარული იყო.

**მეოთხე:** ყველას საზოგადოების ღირსეულ წევრობას ვუსურვებდი, კეთილი ტრადიციისადმი ერთგულებას და მუდამ ძმობის ხიდით სიარულს.

ბავშვებს ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გავუმეორებდი: სწავლაში და მიწის სიყვარულშიც მუდამ მეგობრობა წამოგეშველებათ-მეთქი. სწორედ რომ კეთილზე კეთილია ძმობის ხიდზე გავლილი გზები!

მთელი ქვეყანა და ჩვენც, ნატანებლები, მათ კეთილდღეობაზე ვფიქრობთ, თორემ ამ ოთახში პროექტების გამოფენა კი არა მაქვს...

...დეპუტატი სიტყვას არ გადაუხვევს. ნატანებელი ბავშვებისათვის ბევრი რამ შენდება და კეთდება ამ სოფელში.

დეპუტატის, თავმჯდომარის — გივი წითლიძის სიტყვა კანონია მისი შვილიშვილისათვის; სიყვარულს, ბაბუის მაგალითს, მის კეთილ კვალს მიჰყვება იგი...





# ძეგლევი

## ზაქარია შერაზადიშვილი

დიდი სამამულო ომის მომდევნო წლებში რაჭაში, ონის ზემოთ, ჩვენს თვალწინ დაცარიელდა მთის მაღალ კალთაზე მდებარე სოფელი ძეგლევი. ვახუშტი ბატონიშვილი ამ სოფელს „დაბას“ უწოდებს. არ ივიწყებს მის ეკლესიასაც „ზეთიანი ქიქის“ სასწაულით და „ციხეს მაგარს ფრიადს“ „რიონის კიდეზედ“. ძეგლევის საქორიის ცნობილი ციხე შეტანილია საქართველოს კულტურის იმ ძეგლთა შემადგენლობაში, რომელთაც სახელმწიფო იცავს.

რიონის ხეობაში თვალგასახარად გადმოსახედი ამ დიდებული სოფლიდან თანდათან გაიკრიფნენ ჯაფარიძეები, გუგეშაშვილები, ხიდეშლები, მაჟრაქველიძეები, ბერიშვილები, ბენდელიანები, ჩიხრაძეები... და სოფელი ნასოფლარად იქცა.

ამ პატარა პოემაში დიდებული ადგილმდებარეობის მქონე ყოფილი მთასოფლის, ძეგლევის აღორძინების ნატვრაა გადმოცემული.

მოხდა:
ძეგლევს მთიელმა
ვერ ვივარგე მთიელად,
ხელგვყო ლტოლვამ ძლიერმა, —
დაბა დაცარიელდა!
უმტროდ ჟამი მოფრინდა,
რაც არვისგან ნახულა,

ხალხი გაჰქრა სოფლიდან,
სკოლამ კარი დახურა.
რამ აგვყარა ბუდიდან,
რა წყრომამ
ან რა ხვატმა?
ცეცხლს არ გადვუბუგივართ,
არც გაგვხიზნა სახადმა...

მიწა — გლეხის ცხონება —
მივატოვეთ უგლეხოდ;
რარიგ ბრუნავს ცხოვრება, —
შფოთავს, ბორგავს, უკმეხობს.

კვლავ სიხარულს ვეძლევი,
მაინც გაჩნდა ნუგეში,
მშობლიური ძეგლევი
გვიხმობს თავის უბეში.

მზის სხივებში ცურვილი,
შორს რომ გასცქერს მაღლიდან,
მასთან ყოფნის სურვილი
გამძლავრდა და გაღვივდა.

მოველ...
მიწას ეწრიანს
ვუთხარ, განა როყიოდ:
„დავბრუნდი... რაც ბერწია,
ისევ გავანოყივრო!"

შეშას ცული დავკარი.
კერის ცეცხლი ავანთე.
მამა-პაპის სახლ-კარი
აღვადგინე, გავმართე.

ქვა აღმართშიც მიგორავს,
თუ ხნავ მამა-პაპეულს...
წიქარა და ნიკორა
შევაჩვიე აპეურს.

მარანი მაქვს მარნულად,
ბეღელი მაქვს ბეღლურად,
ჩემთან ათევს ღამურა,
ჩემს ფეტვს კენკავს ბეღურა!

ახლად არ მიყიდნია, —
თავლაცა მაქვს, ბოსელიც,
ხეხილს ჩალა ჰკიდია,
რიგორც შესამოსელი.

ფრინველი მყავს ფრინველად,
პირუტყვი მყავს პირუტყვად,
მადლი მას,
აქ პირველად
მიწას თოხი ვინც ურტყა.

სარჩო-საბადებელით
ავივსეთ და გავმდიდრდით,
ჩვენი მიწა ბებერი
რა უხვია, რა დიდი!

ღვიძლნი გავხდით
ტყე-ველის,
დიდებული ბუნების,
ჯერ თუ რამეს ვერ ვშველით,
მხოლოდ ჩვენდა უნებლივ.

ოთხი ვაჟი დაგვიდის.
მეხუთეა გოგონა,
ახლა ჩვენი ამინდი
ვიცით — წავა როგორა.

იმედი მაქვს ბავშვების —
პირველის თუ მეხუთის, —
მათი ფრთების გამშლელი
ბაგა-ბაღი გვეკუთვნის.

მალე დამეზრდებიან,
გაგვიხსნიან სკოლასაც,
მთებიც უხარებია
ბევრი შვილის ყოლასა!

დადგეს ჟივილ-ხივილი,
ამ სოფელს რომ აბოდებს,
ეს ხმა,
თოვლის ხრილივით,
დაიძრას და აგორდეს.
ყველგან მისწვდეს თამამი
ქუხილად და ზვავებად.
რათა ახდეს მთავარი:
სიტყვა,
ზრუნვა, ზმანება!..
ხუთი რაა, ბატონო,
ათი შვილიც გვეყოლოს,
სოფელს მოვეპატრონოთ,
ყანა უკეთ შევყოროთ.
მიწას, თუნდაც ეწრიანს,
როდი უყვარს არმობა,
სიხარულად გვეწვია
სავსე ურმის გალობა.
ყოველს თვლიან შექმნილად,
მიწას ვინც რა მოსტაცა...
მოგვაკითხოს ექიმმა,
ტელემ, შუქმაც, ფოსტამაც.

სხვა არ გვაქვს
არც ერთი,
ვერც გვიყელოს ოხერმა.
ერთ მთელ სოფელს ვეყოფით
გამრჯედ,
შემწედ, მომლხენად...

ჩემი სოფლის მჟავე წყალს
შემოვურგავ კოპიტნარს,
პურეულის სალეწად
კალოს კარგად მოვპიტნავ.

რა, თუ საქმე მოძალდა, —
მაქვს მამული ამხელა!
მჯერა: ბევრი მომბაძავს,
მოვა, დაესახლება!

მე შენ გეტყვი,
დაგვრჩება
დრო და ჟამი მოწყენად...
მთავარია, ამჯერად
საქმის ზრუნვით მოწყება!..

ცამ ღიმილი მანახა
ტყეც და
ველიც ბიბინებს
ამ მიწაზე ამაყად,
ჩემო მოდგმავ, ირბინე!

ვერვინ გვნახავს მოცლილებს,
მამულს გადავეგებით,
რომ ვთქვათ:
„ხომ ვაღორძინეთ
კვამლჩამქრალი ძეგლევი"!





# ტყუილი

ვალერიან ჩეკურიშვილი

მხატვარი თემურ ფხიკიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

„მოდი, იმ კაცს გაუმარჯოს, რომელსაც გაჭირვება მგლად ვერ გადააქცევს".

ფშავში გაგონილი სადღეგრძელო.

გაზაფხულზე, როცა ბუნება დალოცვილი მზის ძალით ახალ სიცოცხლეს იწყებს, როცა კვირტებში მოწოლილი სიცოცხლე მწვანედ გამოყონავს და გასხლული ვაზი ტირილს იწყებს, გული ისე მიმიწევს სოფლისკენ, როგორც ზოოპარკში დამწყვდეულ ირემს ტყისკენ. დიდი ხნით თუ ვერა, ერთი-ორი დღით მაინც ავალ მთების ძირში მიყუჟულ ჩემს პატარა სოფელში და ყურს ვუგდებ სიცოცხლის თავიდან დაწყებას.

განთიადისას წამოვდგები და ნამიან ეზოში გამოვალ, რათა ვიხილო, როგორ ლამაზად თენდება, რათა მოვისმინო დაგუბებულ სიჩუმეში პირველად რომელი ჩიტი ჩამოჰკრავს სიცოცხლის სიმზე...

დილა ტყიან გორებთან წამოეწევა სავსე მთვარეს და გაახუნებს, ცისკარს კი სულს შეუბერავს და თაფლის სანთელივით ჩააქრობს.

ღობეზე მიყრდნობილი, გარინდებული ვუსმენ: ახლა სულ სხვა ხმაზე ჟღურტულებენ ზამთარგადაყრილი ჩიტუნები. ყურს ვუგდებ მათ დიდებულ მუსიკას და ხარბად ვსუნთქავ ანკარა წყაროსავით ცივსა და კამკამა ჰაერს.

როგორც კი მზის სხივები ტყიან გორებს სოფლის თავში ოქროსფრად გადაეღვრება და გუგული დაიწყებს ძახილს, მაშინვე დათია მენახირე გამახსენდება — ჩვენებური გლეხი კაცი, ხუთი შვილის მამა და ჯანგატეხილი ცოლის პატრონი.

ჩემს პატარა ბიჭობაში დათიაზე ღარიბი ჩვენს სოფელში თითქმის არავინ იყო. შრომა არ ეზარებოდა, ერთი კაცის კვალობაზე ისიც ირჯებოდა, მაგრამ, არ ვიცი, რა ღმერთი ჰყავდათ გამწყრალი. მისი ცოლი დღენიადაგ მეზობლებში დადიოდა პურისა და ფქვილის სასესხებლად. დათიას მამისაგან მემკვიდრეობით პატიოსნება და სიღარიბე ჰქონდა მიღებული. ჰოდა, უკეთურად არა, უკუღმართი გზით ოჯახში რაიმეს შეტანა არც უფიქრია. სამაგიეროდ, იმაზე ბევრს ფიქრობდა, რა გზას დასდგომოდა, რა ექნა, რომ ცოტა მეტი მიეტანა თავისი მოჩრიხვებული შვილებისათვის. იფიქრა, იფიქრა და სოფლის მენახირეობა გადაწყვიტა. თითო ძროხის მოვლაში თითო ლიტრა სიმინდი აძლევდნენ თვეში. ორმოცი ძროხა აიბარა და მისმა ცოლმა მეზობლებში პურ-ფქვილზე სიარულს თავი დაანება. მაგრამ ახლა ტანსაცმელზე იყვნენ მწყრალად. თვითონ დათია საკერებელდადებული შარვალ-ხალათით და ძირში ტყლაპწაგებული ქალამნებით დადიოდა დღენიადაგ — ტყეში უკეთესი რად მინდაო.

დილით ადრიანად გარეკავდა ხოლმე სოფლის ნახირს, მთელი დღე ტყეში და ახოებში დაალაჯებდა. საღამოს მოშიებული ბრუნდებოდა შინ. ივახშმებდა თუ არა, მაშინვე დაწვებოდა და დაიძინებდა. დილით კი ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი. მისთვის დღეები წყლის წვეთებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო — დარი იყო თუ ავდარი. დანარჩენს დათიასათვის არც ჰქონდა მნიშვნელობა. ისე გავიდოდა მთელი თვე, რომ, ქვეყანაზე კი არა, მის სოფელში რა ხდებოდა, იმასაც ვერ გებულობდა.

ერთხელ დათიას ისეთი უცნაური ამბავი შეემთხვა, ვისაც უამბო, არავინ დაუჯერა.

ქვეყანაზე ხანდახან მართლაც ხდება ხოლმე ისეთი უცნაური რამ, თავიდან ბოლომდე ტყუილსა ჰგავს. საერთოდ, ბევრი ტყუილი და მართალი ჰგავს ერთმანეთს. მათი გარჩევა, განსხვავება, გამოცნობა უნდა შეეძლოს ადამიანს, თორემ ტყუილის მსგავს ნამდვილ ამბავს მოუყვები ვინმეს და მოკვდება სიცილით.

ისეთი ამბები, რაც დათიას მართლა შეემთხვა, მხოლოდ ბავშვებს სჯერათ, იმიტომ, რომ ისინი ნათქვამს ეჭვით არ უსმენენ და ყველაფერს ეჭვის თვალით არ უყურებენ. მათ ასეთი უცნაური ამბები მოსწონთ და დიდხანს ამახსოვრდებათ.

მეც სწორედ ამიტომ გიყვებით ამ ამბავს თქვენ და არა დიდებს.

●

ჯერ ისევ დილა იყო, რომ დათიამ სოფლის თავში საძოვრებზე არეკა ნახირი. მზემ თხილიან ტაფობში მოუსწრო. ძველთაგანვე ასე ეძახიან იმ ადგილს, თორემ იქ იმდენი თხილი არა მდგარა, რომ ეს სახელი ალალი ყოფილიყო.

მზის სხივებზე დილის ცვარ-ნამი ზღაპრული თვალ-მარგალიტივით აბზინდა. მზისთვის ზურგშეფიცხებული და ჯოხზე დაყრდნობილი დათია ხედავდა, რა ხარბად ძოვდა საქონელი ნამიან ბალახს. დიდხანს უყურა და მერე მოეჩვენა, ბალახს კი არა, თვალ-მარგალიტს ეხარბებოდნენ, და ინატრა — ნეტა ახლა ეს აბზინებული ნამი მართლა თვალ-მარგალიტად აქციაო. ღმერთს რომ აეხდინა მისი ეს ნატვრა, ოო, რამდენს მოკრეფდა დათია! სულ გაივსებდა ჯიბე-უბეებს. ჯიბე-უბეებში კი არა, აი, ქუდში მოკრეფდა. აქედან ერთი გუგუშიც არსად დაეკარგებოდა. პირთამდე გაავსებდა თავის პატარა თუშურ ქუდს და საღამოზე შინ ციმციმ მიიტანდა. მიიტანდა და ბალღები შემოეხვეოდნენ, მამილო მარწყვი მოგვიტანაო.

— არა, შვილებო, მარწყვი კი არა, მამამ ბედნიერება მოგიტანათ! აი, ნახეთ, — ეტყოდა დათია და ცოლშვილს თვალ-მარგალიტით პირთამდე სავსე ქუდს წინ დაუდებდა...

უჰ, იმ საღამოს რამდენი ზეიმი იქნებოდა მათ ჭვარტლიან ჭერქვეშ! მეორე დილით კი დათია სოფელს გამოუცხადებდა, თქვენი ნახირისათვის აღარ მცალია, მე ჩემი საქმე

მაქვს და ყველამ თავ-თავის ძროხას მიხედოსო.

ჯოხზე დაყრდნობილსა და თვალებგაშტერებულ მენახირეს მეტი ოცნება აღარ დასცალდა. უცებ რაღაც განწირულის წივილი ჩაესმა და დაინახა, ქორმა ტყიდან როგორ გამოი-



გდო რომელიღაცა ფრინველი, მაგრამ ვერ გაარჩია, რა ფრინველი იყო, — მწვანე კოდალა, ყვითელი ბიჭო-გოგია, თუ ჭრელკაბა გუგული. ან როგორ გაარჩევდა. სულ იელვით მოდიოდა! დევნილი ცდილობდა, მდევარი როგორმე ჩამოეშორებინა, მაგრამ გეზელი ქორი პირდაპირ კვალში მიჰყვებოდა. წაწევაწაწევაზე იყო. ამას ის საკოდავი ჩიტიც გრძნობდა და განწირულის ხმით წივოდა.

დევნილი დამალვას ვერ ახერხებდა, ვერც ბუჩქებში, ვერც ბარდებში. ეს საშიშიც იყო, რადგან ასე, გასროლილი ისარივით სწრაფად რომ შევარდნილიყო ბუჩქებში, უთუოდ რამეს შეასკდებოდა, მაგრამ არც აღებული სიაწრაფის შენელება შეიძლებოდა — ქორი პირდაპირ კუდში მისდევდა და სადაცაა დაეწეოდა.

მტერს იმისთანა შავი დღე, იმ ჩიტს რომ ადგა! ახლა საქმე დაღლაზე იყო, მაგრამ დიდი შიშით კაცს ეკვეთება ხოლმე მუხლები და ჩიტს რა კეთილი დაეყრებოდა!

და აი, მოხდა საოცრება, დაუჯერებელი ამბავი — ისარივით გამოტყორცნილი დევნილი პირდაპირ დათიას ეცა უბეში! ქორიც ზედ მოჰყვა, მაგრამ დათიამ ჯოხი მოუქნია. გაწბილებულმა ყაჩაღმა კეცხლისფერი თვალები ნაკვერცხლებივით მიაყარა დათიას, შეტრიალდა და წავიდა.

მენახირემ უბიდან გამოიყვანა საწყალი ჩიტი, დახედა და გაიცნო — გუგული იყო. ისე უცემდა გული, ამოვარდნაზე ჰქონდა.

— შე საწყალო, შენა! რას გერჩოდა, შენგან რა უნდოდა იმ წყეულს. შენ იმას აბა რას დაუშავებდი, მაგრამ შიოდა და მოგდევდა... შენი ბედი, რომ მე დაგხვდი აქა! — ისე ელაპარაკებოდა, როგორც ადამიანს.

დათას გუგული აქამდე ასე ახლოს არასოდეს ენახა და დიდი გულმოდგინებით ათვალიერებდა, ისიც კი მოინდომა შეეტყო, დედალი იყო თუ მამალი, მაგრამ ვერაფერი გაიგო. საცოდავი ჩიტი შიშისაგან ილეოდა. თავს ილავდა, იზიდებოდა, ხელიდან გასხლტომას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ.

— ისე, არც შენა ხარ წმინდა წყლისა! — ახლა საყვედურებზე გადავიდა დათია. — შე კაი ადამიანო, ვითომ რატომ არა ჰკადრულობ ბუდის გაკეთებას? გვარიშვილობა ჩამოგერთმევა თუ ჩინ-მედლებს ჩამოგართმევენ? მერე რა, რომ გუგული ბრძანდები! ლამაზიცა ხარ, ხმაც კარგი გაქვს, მაგრამ ბოლოსკლინტიანი ძერა გჯობია, დიახ, დიახ, ძერა გჯობია შენა. დამბადებელს უკითხავს. შვილს დასთმობ თუ აგვისტოში წყლის დალევასო, და ძერაა წყალი დაუთმია. მას შემდეგ ძერა აგვისტოში იმ სიცხეპაპანაქებაში წყალს ახლოს არ ეკარება — რომ დავლიო, შვილები დამეხოცებიანო. წყურვილი ჰკლავს და საცოდავად წივის. აბა შენ მოითმენდი მაგდენს? ისემც შენ რა გითხარი!

მუჭაში გამომწყვდეული გუგული ერთხანს გარინდებული იყო, თითქოს უსმენსო. მერე უცებ გაიფხარკალა, კინაღამ ხელიდან გაუსხლტა. შემკრთალმა დათიამ უცებ ისე მოუჭირა ხელი, კინაღამ გაჭყლიტა.

— აბა, ეგენი არ იყოს! შენ ახლა გინდა, მეც გამისხლტე და მერე დამტრაბახო, ორივეს გადავრჩიო. ეგრე ვერა, ძმისაო! შენ მე ვერ გამისხლტები, ვერ გამიფრინდები! თუ მინდა, ახლავე წაგაწყვეტ თავს, აი, ამ წუთში. მაგრამ, რა თქმა უნდა, მე ამას არ ვიზამ. მე თვითონ გაგიშვებ, ჩემი ნებით და მადლობელიც ჩემი უნდა იყო. აბა როგორ? სიკვდილს მე გადაგარჩინე, სიცოცხლე მე გაჩუქე, ტყვეობიდანაც მე გათავისუფლებ და მადლობა მაინც არ შემეფერება? აჰა, წადი და ჩემზე ილოცე! — ხელი გაუშვა და გუგული გაფრინდა. დათიამ გაფრენილ ჩიტს თვალი გააყოლა, ელიმებოდა.

მერე დათია მარტო იმას ფიქრობდა — დღეს ის გუგული სულ ჩემს ლოცვაში იქნებაო, დღეს რაც მე მადლი ჩავიდინე, ან წინ დამხვდება, ან უკან მომეწევაო.

ნეტა ეს ამბავი ამით დამთავრე-



ბულიყო.

ნეტავ დათას ენისათვის კბილები დაეჭირა და ეს ამბავი არავისთვის მოეთხრო. მაშინ არც ნერვები აეშლებოდა და არც არაფერი. თვითონ ხომ იცოდა, ეს ამბავი რომ მართლა მოხდა, რომ სამადლო საქმე გააკეთა, რა აუცილებელი იყო, სხვებსაც გაეგოთ?! კეთილ საქმეს ადამიანი იმიტომ კი არ უნდა აკეთებდეს, ჩემი კაიკაცობა სხვამ გაიგოს და შემაქოსო, არამედ იმიტომ, რომ გული ასე კარნახობს.

სხვები გაიგებდნენ თუ არა, შეაქებდნენ თუ არა, ამით დათიას, აბა, რა მოემატებოდა ან რა დააკლდებოდა, მაგრამ ეგ არის, რომ ამაზე არც დაფიქრებულა. შინ მივიდა თუ არა, ადგა და მაშინვე უამბო ცოლ-შვილს. ბალღები გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდნენ და გასუსულები უსმენდნენ, ხოლო როცა თქვა, გავუშვი და გაფრინდაო, ერთიანად აზმუკუნდნენ: რად გაუშვი, რატომ ჩვენ არ მოგვიყვანეო. სულ დიდმა იკითხა: გუგულის ხორცი თუ იჭმებაო, სულ პატარამ ღრიალი მორთო: გუგული მინდაო. ცოლი კიდევ გაჯავრებული წამოხტა — თუ დაიჭირე, რაღას უშვებდი, ბალღებისთვის მოგეყვანა, დალაღდებოდნენო. მაგრამ ბეჩავი კაცი ხარ, ღმერთმა ქუდი ოქრო-ვერცხლით რომ აგივსოს, შენ მაინც ცარიელი მოხვალო.

უჰ, იმეთ დღეში ჩააგდეს საწყალი დათია, საყვედურებით ჩაქოლეს პირდაპირ. თავი რომ მოაბეზრეს, აყვირდა:

— რა მოგივიდათ, კაცო, მოგატყუილეთ! რა გუგული, რის გუგული? როდის იყო, გუგული კაცს უბეში უძვრებოდა? — გაჯავრებული წამოხტა და სახლიდან გავიდა.

სოფლის მთავარ გზას დაადგა. მიდიოდა, თან საკუთარ თავს საყვედურობდა: აბა, რა მალაპარაკებდა, გუგული დავიჭირე თუ აქეთია. ვყოფილიყავი ჩემთვის. ძალას ვინ მატანდა, თქვიო...

მზე კარგა ხნის ჩასული იყო.

სოფლის წყაროსთან დათიას ტოლებიც იდგნენ. კოტა ახალგაზრდებიც. წყალს ეწეოდნენ და მასლაათობდნენ. დათიაც მივიდა, სალამო მშვიდობისა თქვა და მათთან გაჩერდა.

ცხეთელთ დავრიშო ყვებოდა, ხევისჭალის ტყეში მთელი დღე როგორ დასდევდნენ მეძებრები შველს, მერე ქანცგაწყვეტილი და გაჭირვებული ახოებში როგორ ჩამოვარდა, ჩამოჰყვნენ ძაღლებიც. ენაგადმოგდებული შველი ფერდობზე შეფენილ ძროხებში შეერია. კვალდაკვალ მიჰყვნენ ძაღლებიც, შველმა ძროხების მწყემსი დედაკაცი დაინახა და იმასთან მივარდა, მის კალთას ამოეფარა, — მიშველეო.

ნაამბობი დაუჯერებლად არავის მოჩვენებია. იქნებ სწორედ ამიტომ ადგა და დათიამაც უამბო გუგულის ამბავი. რა თქმა უნდა, ის არ უთქვამს, რა ელაპარაკა, ან როგორ ესაყვედურა, უბრალოდ თქვა: ქორი რომ წავიდა, ავდექი და გავუშვი, გავათავისუფლეო.

ამის თქმა იყო და აუტყდათ სიცილი:

— ოჰოჰოჰო, ეს რა მაგარი ტყუილი დააზღლართაო.

— დღეს შენ იმისთანა თქვი, ამ წელიწადში მეტი ტყუილის თქმა აღარ გეკუთვნისო.

— უბეში რომ გეცა, იღლიაში ხომ არ მოგიღიტინაო.

დათია სულაც არ მოელოდა, ეს ამბავი თუ ასეთ სიცილს გამოიწვევდა. არც ის ეგონა, თუ არ დაუჯერებდნენ.

მენახირემ ახარხარებულები ჩამოათვალიერა, საპეზე წამოახურა და გაბრაზებულმა კინაღამ შეიგინა.

— რას ამბობ, დათიავ, აბა რას ამბობ? ჯერ ერთი, როდის იყო, რომა გუგული კაცს უბეში უძვრებოდა, მეორეც — გუგული რომ დაგეჭირა, შენ იმას გაუშვებდი? — ცოცხალი გუგულის დაჭერა ექვსი თუმანი ღირს.

რაო, რა თქვა? დათიას მოეყურა თუ მართლა თქვეს, ექვსი თუმანიო?

— რა ღირსო? — თავი ვერ შეიკავა და მაინც იკითხა.

— რა და, ექვსი თუმანი! მიიყვანდი მონადირეთა კავშირში და გადმოგითვლიდნენ.

— კაცო, მე მგელი კი არა, გუგული დავიჭირე.

— ჰო, მეც გუგულზე მოგახსენებ. ზოოპარკში არა ჰყოლიათ და გამოცხადებულია, ვინც ცოცხალ გუგულს მიიყვანს, ექვს თუმანს მიართმევენ გასამრჯელოდო. ისე ლაპარაკობ, თითქოს პირველად გაიგონე!



— არა, არ ვიცოდი, — გულწრფელად თქვა დათიამ.

— ეჰ, მართლა არა სცოდნია, თორემ რას გაუშვებდა?! — გაიღრიჯა რომელიღაცა.

— დათია, დღეს ღმერთს შენთვის უბეში ექვსი თუმანი ჩაუდვია. შენ კი ამოგიღია და გადაგიგდია.

ისევ ახარხარდნენ.

დათიას გახსენდა ცოლის ნათქვამი: ღმერთმა ქუდი ოქრო-ვერცხლით რომ გაგივსოს, შენ მაინც ცარიელი მოხვალო.

დათიას ყელში მოაწვა ბრაზი.

— რა იყო, რა დაგემართათ, მგლებო? დიახ, ვიცოდი, რაცა ღირდა. მაგრამ მაინც გავუშვი, — თქვა და იმ წუთში წამოხტა. შინისკენ გაეშურა.

ვიცოდიო... — ეს კი ტყუილი თქვა დათიამ. არ იცოდა, მაგრამ ეს ტყუილი იმ წუთში ბერდანის ტყვიას ჰგავდა და იმიტომაც ესროლა „მგლებს“. არ იცოდა, მაგრამ, რომც სცოდნოდა, მაინც გაუშვებდა. კაცია და ხასიათი.

— ვიცოდიო, — გაიმეორეს დათიას ნათქვამი და ხარხარი ქვიშახრეშივით მიაყარეს გაქცეულ კაცს.

დათია გაჯავრებული ნაბიჯებით მიდიოდა შინისაკენ. მიდიოდა და მიჰყვებოდა ყურებში ჩარჩენილი ხარხარი. მიდიოდა და ისევ ესმოდა: „დღეს შენთვის ღმერთს უბეში ექვსი თუმანი ჩაუდვია, შენ კი ამოგიღია და გადაგიგდიაო“.

კიდევ კარგი, დათიას ცოლს არ გაუგონია, თორემ საყვედურები აბა მაშინ გენახათ!

ჭიშკარში რომ შევიდა, ძაღლმა იცნო და მიეგება კუდის ქიცინით. დათიამ წიხლი ამოუქნია — დაიკარგე აქედან, რა ჩაჩნეურს მეცაკვებიო.

შინ იმ დროს შევიდა, ვახშმისათვის ემზადებოდნენ. სულ პატარამ, მამა რომ დაინახა, ისევ პირი დააღო. ტირილი დააპირა. გუგული მინდაო. მაგრამ დათიამ სუყველას გასაგონად დაიყვირა:

— არ გამაგონოთ!... გუგულზე სიტყვა არ გამაგონოთ, თორემ სუყველას დაგხოცავთ!.. ვაჰ, კაცმა თქვენი შიშით ტყუილი ვერ უნდა თქვას?!

ბავშვები გაისუსნენ.



„ლომი“ — ასეთი სათაური ჰქონდა ჟურნალ „ნაკადულის“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილ მოთხრობას. ვკითხულობდი და ცხარე ცრემლებს ვაბნევდი.

ლომის უსუსურ ლეკვს დედა მოუკლეს ტყეში, მშიერ-მწყურვალი პატარა მწარედ მოსთქვამს თავის ობლობას... მაშინ მეოთხე კლასში ვიყავი, როცა ჟურნალ „ნაკადულის“ ძველი ნომრების მთელი შეკვრა მაჩუქა დედამ...

აი, კიდევ: „შავ ტუანეტას შვილობილი“ — ამერიკელი მწერლის, ჯემისონის მოთხრობა, რომელიც ახალი ორლეანის ზანგთა და თეთრკანიანთა ცხოვრებას ეხება... კვლავ წუხილი უდანაშაულო ბავშვთა ბედზე...

იმ დროიდან უფრო ღრმად ჩამეწერგა გულში უმწეოსადმი სიბრალული, საძულველის — სიძულვილი, მოშურნის მიმართ — მიუტევება... „ნაკადულს“ ხელს აწერდა რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

...ერთხელ ჩემმა საყვარელმა მარიჯანმა, რომელიც მწერალთა კავშირში საბავშვო ლიტერატურის სექციას ხელმძღვანელობდა, მითხრა, ნინო ნაკაშიძესთან ბარათი უნდა გაგატანო სექციის საჭირო საქმეზე...

იგი პირველი საშუალო სკოლის უკან ცხოვრობდა.

ზარის წკრიალზე კარი გამიღო პატარა ტანის ჭაღარა ქალმა... ვიცანი — მისი ნებისყოფიანი, მხნე გამოხედვა სურათიდან მახსოვდა. სამუშაო ოთახში შემიძღვა. ვიდრე ბარათს კითხულობდა, ირგვლივ მიმოვიხედე. საწერ მაგიდაზე ლევ ტოლსტოის პაწაწინა ბიუსტი იდგა; აქვე იყო ილია რეპინის ტილოს ფოტორეპროდუქცია — ლევ ტოლსტოი — საშინაო ტანსაცმლით, ფეხშიშველი, — იასნაია პოლიანას ტყეში დგას. სწორედ ასეთი სურათი ამშვენებდა მამაჩემის სამუშაო ოთახს.. სწორედ ასეთი პატარა ბიუსტი იდგა მამას საწერ მაგიდაზე. ამ ორმა პატარა დეტალმა ისეთი უცნაური სიახლოვე მაგრძნობინა მასპინძელთან, რომ წამოსვლა აღარ მინდოდა... ნინო ნაკაშიძემ თითქოს ჩემს თვალებში ამოიკითხა ყველაფერი. ახლოს დამისვა, ვინაობა გამომკითხა... გავბედე და ვუთხარი, როგორ მიყვარდა მისი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალი „ნაკადული“, დაუვიწყარი... სახელდობრ ჩემი საყვარელი მოთხრობებიც.

— წაკითხვისას ხომ არ ტიროდი? — ღიმილით მკითხა მან. და არასოდეს დამავიწყდება, რა თქვა, როცა ჩემი პასუხი მოისმინა. „ამა თუ იმ ნაწარმოების კითხვისას, — მითხრა მან, — ბავშვმა თავისებური ლარიდიც უნდა განიცადოს, სიკეთე და შემწეობის სურვილი უფრო ადრე ჩამოყალიბდეს მის ბუნებაში. უფრო მგრძნობიარე გახდეს. ხომ მართა-



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ...

ლია?“ – მომმართა მერე კითხვით.

ნინო ნაკაშიძე 1910 წლიდან რედაქტორობდა „ნაკადულს“, რომელიც მცირეწლოვანთათვის ცალკე გამოდიოდა, ხოლო მოზრდილთათვის – ცალკე (მანამდე მარიამ დემურია განაგებდა ამ საქმეს).

– ბავშვის სულიერი ცხოვრების წარმართვა ფრიად საპასუხისმგებლო საქმეა, – მითხრა ნინო ნაკაშიძემ. – მე ვცდილობდი, წუხილიც, ჩაფიქრებაც და სიხარულიც დროულად და ზომიერად მიმეწოდებინა ბავშვებისათვის. მკითხველი ხომ მაშინაც აურაცხელი გვყავდა. ბევრი ტექნიკური სიძნელე გვქონდა, ჟურნალის ბეჭდვისას დღე და ღამეს ვასწორებდით, ხან რედაქციაში, ხან სტამბაში... დიდტანიანი მოთხრობები ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა და რამდენჯერ შემოსულან რედაქციაში ბავშვები ათასი კითხვით: იპოვის თუ არა დაკარგულ შვილს დედა? მალე გამოჯანმრთელდება თუ არა თამროს მამა?.. ასეთი შემთხვევა უამრავი გვქონდა.

ნინო ნაკაშიძის ცხოვრების გრძელ გზაზე ერთმანეთს ავსებდნენ შემოქმედებითი შრომა და საზოგადო მოღვაწეობა. ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციის შემოქმედი მუშაკი იგი ადრევე იყო. მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის მას საბავშვო წიგნების მომზადებასა და გამოცემაშიც.

ნინო ნაკაშიძე ილიას, ვაჟას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა მხარდამხარ იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის, ერის კულტურის დაცვისათვის, განათლებისათვის. აბა წაიკითხეთ თუნდაც მისი დღიურები და დარწმუნდებით მის ფასდაუდებელ მოღვაწეობაში.

ნინო ნაკაშიძის ყველა მოთხრობის თემა – პატრიოტული, დიდაქტიკური, გმირული თუ სხვა, – გულში ჩამწვდომია და ნათლით ავსებს ადამიანის სულს.

– ჩემდა სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დრო მრჩებოდა საკუთარი შემოქმედებისათვის... – თქვა ნინო ნაკაშიძემ.

„და მაინც ყველაფერს ასწრებდით!“ – გავიფიქრე ჩემთვის.

მერე ლევ ტოლსტოის ბიუსტისა და ილია რეპინის ნამუშევრისკენ გავიხედე და მორიდებით შევაპარე, თქვენ ხომ პირადად იცნობდით-მეთქი ტოლსტოის.

– სწორედ მაგისათვის მეძახის მარიჯანი სექციის სხდომაზე, – გაიღიმა მან. – ერთხელ მოსკოვში ტოლსტოისთან ერთად მოგვიხდა ქუჩაში გასვლა. ყველა ღიმილითა და მორიდებით ესალმებოდა. უცებ ქუჩის მოსახვევიდან მოსწავლეები გამოცვივდნენ. – პაპა ტოლსტოი! – შესძახეს და გარს შემოეხვივნენ. ისიც ღიმილით გაჩერდა.

– პაპა, კიდევ რას წერთ ჩვენთვის? – ეკითხებოდნენ ბავშვები.

– რაც დავწერე, წაიკითხეთ? – კითხვითვე მიმართა მწერალმა.

– როგორ არა! „სოკოები“, „ფუნთუშა“, „კურკა“, „ხოლსტომერი“, – ერთმანეთს აღარ აცდიდნენ ისინი...

ტოლსტოის ძალიან უყვარდა ბავშვები, თავის მამულში – იასნაია პოლიანაში სკოლა გახსნა და თვითონვე ასწავლიდა მათ. სამშობლოში დაბრუნების წინ მე და ჩემი მეუღლე იასნაია პოლიანაში ვეწვიეთ მას გამოსათხოვებლად. „თქვენი ქვეყანა გმირების ქვეყანაა, მიყვარს თბილისი. სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს იქ ვცხოვრობდი, ჩემი პირველი მოთხრობის – „ბავშვობის“ წერა თბილისში დავიწყეო“... – გვითხრა ლევ ტოლსტოიმ. სუსხიანი თებერვალი იყო. კიბეზე იდგა, ბოლო სიტყვები დაგვაწია: – უთუოდ ჩამოვალ საქართველოში...

აქ ნინო ნაკაშიძე გაჩერდა, თვალები მოჭუტა და შორს გაიხედა... მერე გაშიღიმა და მითხრა: – აი, რამდენი რამ გამახსენეო... როცა მოისურვო, ნუ მოგერიდება, გამოიარე ხოლმე, ბევრ რამეს გიამბობო...

არასოდეს დამავიწყდება ის ბედნიერი დღე... ქუჩაში რომ გამოვედი, ნინო ნაკაშიძემ ფანჯრიდან გადმომხედა...

კვლავ და კვლავ მადლობა, ჩვენო საყვარელო, ჩვენო ამაგდარო ადამიანო-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ მხოლოდ გულის თვალი მეტყველებდა ამას...

ელენე დიდიმამიშვილი




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 9

## კმაყოფილი დარჩნენ

ამას წინათ ინაშაურის რვაწლიანი სკოლის პიონერებმა, ბიბლიოთეკის გამგე ნაზი ხარაბაძემ და პიონერხელმძღვანელმა მანანა გაბუნიამ ლაშქრობა მოვაწყვეთ ზეინდრის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში.

იქ გავეცანით და ვესაუბრეთ ფერმის მოწინავე მუშაკებს, მწყემსებს. შემდეგ გავმართეთ კონცერტი. წარმოვადგინეთ პიესა „ბებია და შვილიშვილი“, ინსცენირებები – „დედისერთა ლენინთან“ და „სურამის ციხე“.

მწყემსები კმაყოფილნი დარჩნენ.

ახლო მომავალში გადაწყვეტილი გვაქვს, კიდევ ვესტუმროთ ფერმის მუშაკებს და დავეხმაროთ პირუტყვის მოვლაში.

მარიკა ჯაჯანიძე,

ვანის რაიონი, ინაშაურის 8-წლიანი სკოლა, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

## სწორად მოიქცა?..

თეა მე-6 კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. კლასი ამაყობს ამ მოსწავლით. ყველას უხარია, რომ მათ გვერდით ასეთი პიონერია.

თეა ყოველთვის ნარტო მეცადინეობს. მეცადინეობისას არავის ყურადღებას არ აქცევს, არ უყვარს, როცა ვინმე შეეკითხება: „თეა, ეს როგორ იქნება?“

ერთხელ თეას შინ მისმა ამხანაგმა ნანამ მოაკითხა. ნანას მათემატიკის ამოცანა ვერ გაეგო. თეამ კი რაღაც მოიმიზეზა და ნანა მოიშორა...

როგორ ფიქრობთ, სწორად მოიქცა თეა?

თამრიკო ბრეგვაძე,

პითურა, ქვაცინის საშუალო სკოლა, VIII კლასი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატურმორტი. ინგა ჯანიაშვილი 12 წლის.

## ცოდვა

გაზაფხული იდგა. ტყეში ვსეირნობდი. ტყეს გზა კვეთდა. მის ორივე მხარეს კვირტაფეთქებული ნორჩი ალუბლის ხეები ამშვენებდა. გზაზე მანქანები მიმოქროდნენ და ეჭვი არ მეპარებოდა, შიგ მსხდომთ სიამოვნებას ჰგვრიდა ლამაზი სურათის მზერა.

გზაზე გამოვედი. უცებ გზის პირას მდგარი მანქანა დავინახე. მის სახურავზე ჩვილი ბავშვის მაჯის სიმსხო, თავის სიცოცხლეში პირველად აყვავებულ ალუბლის ხეს ამაგრებდნენ. გავოცდი, გაშეშებული ვუცქერდი ამ სურათს. ნაბიჯის გადადგმა ვერ მოვასწარი, რომ მანქანა დაიძრა და გაუჩინარდა.

...ფოთლის მოწყვეტა, ყვავილის მოწყვეტა გამიგია, ტოტის მოტეხასაც შევეგუები, მაგრამ ხის ამოძირკვა? ისიც როგორი ხის, ჩვილი ბავშვივით უსუსურის!..

გაივლის დრო და როცა ამ საქმის ჩამდენი ცხოვრების გზაზე რაიმე განსაცდელში ჩავარდება, იტყვის: „ღმერთო, არავის წინაშე ცოდვა არ მიმიძღვის და რად მტანჯავო...“

**ასმათ ქურციკიძე,**
თბილისი, 142-ე საშუალო სკოლა. VIII კლასი.

## ჩვენი შემოქმედება

## ტყემლის ხე

სანამ ახალგაზრდა იყო, მედგრად უმკლავდებოდა ქარსა თუ ყინვას. მაგრამ გავიდა წლები და ტყემლის ხე დაბერდა. ქარიც ჯაბნიდა და ნამქერიც. ნაყოფსაც ველარ ისხამდა ძველებურად.

ერთ დილით კაცი მიადგა ნაჯახით. ის იყო ნაჯახი მოიმარჯვა, რომ სახლიდან გოგონა გამოვიდა.

— ბაბუ, რას აკეთებ? — ჰკითხა მან.

— უნდა მოვჭრა, შვილო, ეგ ტყემალი, დაბერდა, რიღას მაქნისია, ტყუილად ადგილს იკავებს.

— უნდა მოჭრა?! ცოდო არ არის? ნუ მოჭრი რა, ბაბუ! — გოგონას ხმაში სიბრალულიც ისმოდა და მუდარაც. მერე უცებ, თითქოს გამოსავალი იპოვაო, შესძახა: — მერე მე ჰამაკი სადღა დავკიდო?

— ჰოო, ჰამაკი? ეგ კი აღარ გამახსენებია, — ჩაილაპარაკა კაცმა და ჩაფიქრდა.

გოგონა გუშინ ჩამოვიდა ქალაქიდან ბებიასთან და ბაბუასთან. ყოველთვის, როცა ჩამოვიდოდა, ტყემალსა და ალუჩას შუა ბაბუას ჰამაკს გააბმევინებდა, ჩაჯდებოდა შიგ, თან ხეებს ესიყვარულებოდა, თან მათ ნაყოფს შეექცეოდა.

— კარგი, შვილო, შენი ხათრით აღარ მოვჭრი, — თქვა კაცმა და შვილიშვილს გაუღიმა.

გოგონას თვალები გაუბრწყინდა, ჯერ ბაბუას მოეხვია, შემდეგ ტყემლის გარშემო ხტუნვა-თამაში დაიწყო.

სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა ტანში ბებერ ტყემლის ხეს.

...გავიდა დრო. ის გოგონა რახანია არ გამოჩენილა. დგას ტყემლის ხე დანაღვლიანებული. სულ უფრო და უფრო ეშინია ზამთრის მოახლოებისა. მაგრამ გაახსენდება მისი მხსნელი გოგონა და სიბერისაგან გამომშრალ ზროშში უჩვეულო სითბო ჩაეღვრება ხოლმე.

ეს სითბო ალბათ კიდევ ბევრ გაზაფხულს შეახვედრებს ტყემლის ხეს.

**შორენა სულამანიძე,**
ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლა, VII კლასი.

## ღამე ტყეში

ზღარბმა ციცინათელას
უთხრა: რას გავს ესაო,
ღამით აღარ მაძინებ,
აქა-იქა კვესავო,
ნეტავ გამაგებინა,
ხომ არაფერს ლესავო?

**ირინე კობერიძე,**
თბილისის 161-ე საშუალო სკოლა, II კლასი.

## საქართველოს

ისევ შენზე ფიქრი,
ისევ შენზე დარდი...
მე არ მახსოვს, ასე
როდის შემიყვარდი.
სიყვარულმა რა არ
მოახდინა ქვეყნად.
არა მწამდა ღმერთი,
შენ მიგიღე ღმერთად.
საქართველოვ, შენთვის
შემიწირავს გული,
ჩემი უნაზესი,
წმინდა სიყვარული.

## ტირიფები

ბინდი ეპარება მიწას და იქიდან
მზის ნაზი სხივები ნელა იკრიფება.
მზეს — სიცოცხლის დედას თავი
დაუხარეს
ლურჯი ზღვის ნაპირას მდგომმა
ტირიფებმა.
ღრუბლებს გასცდებიან, ლაჟვარდს
გასერავენ
ჩემი ოცნებები და ჩემი ფიქრები
და მათ თან გაჰყვებათ,
მუდამ თან გაჰყვებათ
ჩუმი, მშობლიური ლოცვა
ტირიფების.

**მაია მერაბიშვილი.**
თბილისი, 112-ე საშუალო სკოლა. VII კლასი.



მანანა
გელაშვილი
მოთხრობები

# ერთგულება

მხატვარი
ზაურ
დეისაძე

ღელავს გელა. ან როგორ არ იღელვებს?! კონვერტში ჩალაგე-ბული ოცდაჩვიდმეტი წითელი ყელსახვევი და პიონერის ნიშანი ერთად აწყვია მაგიდაზე. ხომ შეიძ-ლება პიონერხელმძღვანელს აერიოს და სხვისი ყელსახვევი გაუკეთოს. ყველა კონვერტს აწერია ბავშვის სა-ხელი და გვარი, მაგრამ ვაითუ ზოგზე გაურკვევლად ეწეროს. ანდა ხელმ-ძღვანელმა შეცდომით ამოიკითხოს?! განა არ იცის გელამ, რომ ყველა ყელსახვევი ერთნაირია. მაგრამ მა-ინც თავისი უნდა. დედას დაუთოე-ბული დაიწუნა და თვითონვე ბა-რემ თხუთმეტჯერ აატარ-ჩამოატარა უთო ისედაც გატკეცინებულ ყელ-სახვევზე. მერე იყო და ცალი ბო-ლო აპრეხილი მოეჩვენა და იმდენ ხანს გააჩერა ზედ უთო, რომ ავარდ-ნილი ტრუსის სუნი რომ არა, ნამ-დვილად დასწვავდა. ახლა ცალ მხარეს ძაფი მოეჩვენა გამორღვეუ-ლად. მერე დაკეცვაზე აუხირდა დე-დას: არ უნდა დაკეცვა, ნაკეცები და-ეტყობაო...

— ბავშვებო, დღევანდელი დღე საზეიმოა თქვენთვის, დღეიდან დიდი ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის წევრები ხდებით. ვფიქრობ, რომ თქვენ იცით, რას ნიშნავს სიტყვა „პიონერი", ისიც იცით, თუ რა ევალება პიონერს... — გაისმა დალი ხელმძღვანელის ხმა.

იცის გელამ, როგორ არ იცის! ცალკე დედამ და ცალკე მამამ გულ-დასმით განუმარტეს ამ სიტყვის მნიშვნელობა. წიგნებიც შეურჩიეს პიონერული ორგანიზაციის ისტო-რიაზე, გმირ პიონერებზე, ნორჩი ლენინელების მონაწილეობაზე სა-ერთო-სახალხო საქმეებში. მერე დიდედამ და პაპამაც გაიხსენეს თავ-თავიანთი პიონერკოლექტივები, იმ-დროინდელი პიონერული სიმღერე-ბიც მოიგონეს სევდანარევი ღიმი-ლით.

— ...აბა, ახლა კი ცელქებმა ორი ნაბიჯი წამოდგან წინ! — გამოაცხა-და პიონერხელმძღვანელმა.

გაშრა გელა, ერთბაშად მოეშვა. — დამთავრდა... ყველაფერი დაი-ღუპა... ალბათ ცელქებს პიონერთა რიგებში არ ღებულობენ. გამოდის, რომ გელა ვერ ეღირსება პიონე-რობას... როგორ ცდილობდა [illegible] ორი ბოლო კვირა! ალ[illegible] მოსულა კისრის ტ[illegible] ტულ დარბაზში შემოსულ[illegible] დი დასვენებაზე, არც დერეფანში უბ-ღლაძუნია, გოგოებიც კი არ გაუ-ჯავრებია: გაკვეთილებზეც გაუსუ-ლი იჯდა. სწავლით მუდამ კარგად სწავლობდა და ბოლო დროს კი ერ-თი ოთხიანიც არ მიუღია... მაგრამ რა, საერთოდ ხომ მაინც ცელქი ეთქმის...

გელამ უყოყმანოდ წადგა წინ ორი ნაბიჯი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

გელამ მიიხედ-მოიხედა. მის გარ-და არავინ გამოსულიყო მწკრივიდან. „ქვეყნის დამაქცევარი" გოჩა ანგე-ლოზივით იდგა და უცოდველი თვა-ლებით ჭერს მისჩერებოდა. „კლა-სის შემარცხვენელი" მერაბიც სარ-გადაყლაპულივით გაჭიმულიყო. „გო-გოების ჭია" თამაზი სწორედ იმ გოგოებს შუა ჩამდგარიყო მშვიდად. დილით რომ სულ ცხარე ცრემლით ატირა, „სკოლის ამკლები" ვახტანგი კი ისეთი ათვალწუნებით უყურებდა გელას, თითქოს თვითონ კი არა, ის ყოფილიყოს ამკლები.

დაიბნა გელა. ცრემლები მოად-გა. ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. — პიონერი მართალი და სამართ-ლიანი უნდა იყოს! — დალი ხელ-მძღვანელმაც ხომ გაუმეორათ წე-ლან. პიონერხელმძღვანელს შეხედა. მერე თამარ მასწავლებლისკენაც გაიხედა...

რა გამოვიდა? მაშ მარტო გელა ყოფილა მთელ კლასში ცელქი და სხვა არავინ... ყველას მიიღებენ პიონერებად და გელას კი არა...

უეცრივ მწყობრში ჩოჩქოლი ატ-ყდა, აქა-იქ ფხუკუნიც გაისმა, მერე ყველა გაისუსა.

გელას გვერდში წრიპა ვანო ამ-ოუდგა, მთელ კლასში ყველაზე წყნარი და უწყინარი. გაკვეთილის მოყოლის აუცილებლობა რომ არა, იმისი ხმაც კი არავის ეცოდინებოდა. ვანოს გალეულმა ხელმა გელას ხე-ლი მოძებნა. გელამ ცრემლი ჩაყლა-პა, გაიღიმა და ვანოს ხელი მოუჭი-რა.

თამარ მასწავლებელი უხმოდ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოვდა მათ და ჯერ გელას აკოცა შუბლზე, მერე — ვანოს.

— აბა, ახლა, ბავშვებო, სიტყვა ჩამოვართვათ გელას და ვანოს, რომ ამიერიდან აღარ იცელქებენ, მერე კი ყველამ ერთად დავდოთ ნორჩი პიონერის საზეიმო პირობა, — გამოაცხადა დალი ხელმძღვანელმა.

მესამეკლასელებმა ცოტა არ იყოს გაუბედავად დაიწყეს:

— „შევდივარ რა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის რიგებში, ჩემი ამხანაგების წინაშე საზეიმო დაპირებას ვიძლევი...“ — მერე ზოგი აჩქარდა, ზოგი ჩამორჩა, ჩამორჩენილთაგან ვიღაც სიტყვების ყლაპვით შეეცადა დაწევას და ამას უფრო მეტი არეულობა მოყვა...

— ისევ ნათელაშვილმა აურია! —ხმაზე მიხვდა გელა და გუნებაში მუშტიც მოუღერა ამხანაგს. თითქოს გელას მუქარის შეეშინდაო, ნათელაშვილმა მალევე შეუწყო ხმა დანარჩენებს და ახლა ბავშვების ძალამიცემული ხმა ერთ მწყობრ გუნდად ჟღერდა, თუმცა ოცდაჩვიდმეტ ხმაში ოთხი სხვებზე სუსტი და დარცხვენილი მაინც გამოირჩეოდა.



# ზორო მეოთხე სართულზე ცხოვრობს

სადარბაზოს კედლების წინანდელი, უკვე გამოხუნებული და ნახევრადწაშლილი წარწერების გვერდით, სწორედ მატრაკვეცა გოგოების ხელით გამოყვანილი „ეკა + მაკა + თეა + ნუცა = განუყრელ მეგობრებს“ ქვევით ერთ მშვენიერ დღეს ვარდისფერი ცარცით მიწერილი ახალი წარწერა გაჩნდა: „ზორო მეოთხე სართულზე ცხოვრობს“, ბოლოში კი ზოროს ცნობილი ნიშანი იყო მიხატული. დილა-საღამოს სამსახურში წასვლისას და დაბრუნებისას ძალაუნებურად თვალში მხვდებოდა ეს აშკარად რვა-ცხრა წლის ბავშვის ხელით გამოყვანილი განცხადება, უკვე ასოების მოყვანილობაც ზეპირად ვიცოდი და გარკვეული დასკვნებიც გავაკეთე — ასოების გადაბმა არ ჰყვარებია ყმაწვილს, ეტყობა, „უ“-ს კბილების გამოყვანაც უჭირს. აი, „ზ“ კი კოხტად გამოუდის...

ერთხელაც ლიფტი გაფუჭებული დამხვდა და ფეხით ავუყევი კიბეს. ვარდისფერი წარწერა და ზოროს ნიშანი ყოველი სართულის ათავებისას მეფეთებოდა თვალში. ჩემი ბინის კარს რომ მივადექი, მაშინღა დავფიქრდი: — კი მაგრამ, მეც ხომ მეოთხე სართულზე ვცხოვრობ. ვინ არის ამ ჩემს სამ მეზობელ ოჯახში ზორო? კარის მეზობელი ხნიერი, შვილებდაფრთიანებული ცოლ-ქმარი თავიდანვე გამოვრიცხე. მოპირდაპირე ბინაში მცხოვრებ აბესერიძეებს კი ჰყავთ ოთხი ვაჟი — ბაქარი, ფარნა, ნიკო და ერეკლე, მაგრამ ისინი 20-25 წლისანი არიან, ისე რომ, არა მგონია, იმათგან რომელიმე ზოროობას ჩემულობდეს.. მე ვარ და მარტო ვცხოვრობ. აბა, წყალობაშვილთაგანი ყოფილა რომელიღაც... რა თქმა უნდა, არც ემზარი და არც მისი ცოლი, არც ქალბატონი ეფემია და ბატონი ესტატე სათვალავში არ უნდა მივიღოთ... რჩებიან ბავშვები — ერთთავად წიგნებში ცხვირჩარგული ნინო, ჭინკა ქეთინო და გალეული, მუდამ ქოჩორგადალოკილი თედო, კისერი რომ წაწყვეტაზე აქვს. უფრო ქეთინოზე ვიფიქრე, ის იყო ყველაზე მოუსვენარი და ცელქი და-ძმებში კი არა, ლამის მთელ ჩვენს ეზოში, ამხანაგებადაც ბიჭები ჰყავდა და თამაშითაც სულ იმათთან თამაშობდა, ხან ხეზე იყო აჩაჩხული და ხან ველოსიპედს დააქროლებდა ეზოს გარშემო. თან ხომ ფარიკაობის სექციაშიც მეცადინეობს — კიდევ უფრო გავიმტკიცე ვარაუდი. ეტყობა, ტელევიზორში ნახა ფილმი „ზოროს ნიშანი“ და, როგორც ხანდახან ემართებათ ხოლმე მისი ასაკის გოგონებს, თავი გმირად, ზოროსავით ჩაგრულთა ქომაგად და უსამართლობასთან მებრძოლად წარმოიდგინა-მეთქი, დავასკვენი. ერთხანს კი ვადევნე თვალი ჩემი აზრით „ზოროდქეცულ“ ქეთინოს, მაგრამ ახალი ვერაფერი შევატყვე და მოვეშვი; ვარდისფერ წარწერასაც შეეჩვია თვალი და ზოროს ამბავიც გადამავიწყდა.

ერთ საღამოს ლიფტში ქალბატონი ეფემია და თედო დამემგზავრნენ. ბიჭი თავაუწევლად მომესალმა, თავაზიანად შეგვიშვა მე და დიდედა ლიფტში და ისევ თავაუწევლად შემოგვყვა უკან.

— ნახეთ, ერთი, ამ „რაინდის“ კაიკაცობა, — ქალბატონმა ეფემიამ შვილიშვილს ხელი ნიკაპში ამოსდო, თავი ააწევინა და შუბლზე ჩამოჩაჩული ქოჩორიც გადაუწია. თედოს მარჯვენა თვალის უპეც და ქუთუთოც მთლად ჩალურჯებოდა და შესიებული ჰქონდა.

— კი მაგრამ, მე თედო ისეთი წყნარი და უწყინარი მგონია...



— არა, წყნარი და უწყინარი მართლაც არის, მაგრამ გოგონებს გამოსარჩლებია, ბიჭები აწვალებდნენო... ხომ დაინახე, რომ ბევრნი იყვნენ, რაღაც შეები, შენ იმათი მომრევი იყავი, სული ძლივს გიდგია?! — ბრაზობდა დიდედა.

— აბა, გოგოებს აწვალებდნენ და... — თავი იმართლა თედომ.

ერთი კვირის შემდეგ ბათუმში მომიწია წასვლამ. რამდენიმე დღეში უკანვე დავბრუნდი. მოვდივარ სადგურიდან და ვნახოთ, ქალბატონი ეფემია და თედო შემომხვდნენ ქუჩის ბოლოში. თედოს თავი ჰქონდა შეხვეული, დოლბანდი ზედ ცხვირამდე უწევდა და ეტყობოდა, აწუხებდა, წამდაუწუმ ხელს იკიდებდა. დიდედა უჯავრდებოდა და დოლბანდის ზევით აწევის ნებას არ აძლევდა.

— რა მოხდა, ქალბატონო ეფემია? — შევშფოთდი.

— რა ვიცი, რა ვიცი... სულ გადაგვერია ბიჭი! გაკვეთილზე რომ მეგულებოდა და სადილის თადარიგში ვიყავი, სკოლიდან დამირეკეს, თქვენმა თედომ ჩხუბში თავი გაიტეხაო. გულზე შემომეყარა, ვერც ამის დედ-მამას დავურეკე სამსახურში, ვერც ესტატეს მივაწვდინე ხმა, ესევე, როგორც ვიყავი საშინაოდ ჩაცმული, გავვარდი სკოლაში და ასე თავგატეხილი კი დამხვდა ექიმის კაბინეტში წამოსკუპული. ვერაფრით ვერ ვათქმევინე, ვინ გაუტეხა თავი, ესეთი კემუტია... აუჩემებია, ზედახორა იყო და მე ქვეშ მოვყევიო. გოგოებმა კი ამბავი მომიტანეს, მეექვსეკლასელმა ბიჭებმა კატა გადააგდეს მესამე სართულიდან. უნდა შეემოწმებინათ, მართლა ფეხებზე დახტებოდა თუ ზურგით დაეცემოდაო. და იმათ აუტეხა ჩხუბიო... მიყვებოდნენ, აბა, რა იქნებოდა, ან როგორ გაბედა თავისზე ოთხი-ხუთი წლით დიდ ბიჭებთან ჩხუბი?

—აბა, კატა გადააგდეს მესამე სართულიდან და... — წაიკნავლა თედომ.

— არა, არა, ისევ მამაშენმა უნდა მოგკიდოს ხელი, თორემ რაც დრო გადის, სხვანაირ ზნეს იჭერ, მე აღარ მეპუები...



— დამშვიდდით, ქალბატონო ეფემია, ისეთი არაფერი მომხდარა, — ვცადე აღელვებული დიდედის დამშვიდება.

— რაღა არაფერი, გენაცვალეთ, ბავშვს თავი გაუტეხეს და...

უხერხულობა ვიგრძენი და აღარაფერი ვუპასუხე.

ისე მოხდა, რომ კვლავ ათიოდე დღის შემდეგღა შემხვდა თედო. ამჯერად თავისი უფროსი და, ნინო ახლდა. ცალი ხელით სახელმძღვანელოებით, რვეულებითა და ალბათ კიდევ ათასნაირი რკინისა და მაგნიტის ნატეხებით, ფერადი ბურთულებითა და ჭანჭიკებით სავსე ჩანთას მოათრევდა, მეორე ხელი კი რაღაც უხერხულად მოხრილი მოჰქონდა, რომ მომიახლოვდა, მაშინღა მივხვდი — ხელი იდაყვამდე თაბაშირში ჰქონდა ჩასმული.

— მომეცით, მოგეხმარებით, — მითხრა თედომ და ჩემს სანოვაგით დატვირთულ ჩანთას წაეტანა.

— არა, გენაცვალე, გმადლობ, მძიმე არ არის, — ვიუარე. — ხელზე რა დაგმართნია?

ბიჭმა თავი დახარა.

— რა ვიცი, აბა... კიბეზე ჩამოვრბოდი...

— თურმე მათემატიკის მასწავლებელს უნდა დასწეოდა, — წამოეხმარა ძმას ნინო, — უნდა დაემტკიცებინა, რომ ილია მებუკეს უსამართლოდ დაუწერა „ორიანი"... სიჩქარეში წაუფორხილებია და კიბეზე დაგორებულა...

— უსამართლოდ დაუწერა „ორიანი" და... — ჩაილაპარაკა თედომ და თავი დახარა, ნაჭრილობევზე აჭრილი თმა ამოზრდოდა და სასაცილოდ ედგა ყალყზე.

გამეღიმა, ბიჭის მოფერება მომინდა, თავზე ხელი გადავუსვი და უცებ მივხვდი — ჩემს წინ ზორო იდგა, ზორო, რომელიც მეოთხე სართულზე ცხოვრობს...

•

ხვალისთვის სატელევიზიო პროგრამაში „არსენას" ჩვენებაა გამოცხადებული და მე დარწმუნებული ვარ, რომ უკვე მაზეგ ჩვენი სადარბაზოს კედლებზე ახალი წარწერა გაჩნდება — „არსენა მეოთხე სართულზე ცხოვრობს"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენი უცხოელი თანატოლები

## სიმეა

1958 წლის 15 თებერვალს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციასთან შეიქმნა ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების საერთაშორისო კომიტეტი — ს ი მ ე ა. ამჟამად სიმეა-ში შედის მსოფლიოს 57 ქვეყნის 60-ზე მეტი პიონერული და ბავშვთა სხვა პროგრესული ორგანიზაცია. ეს რიცხვი დღითიდღე იზრდება. სიმეა-ს კარი ღიაა ბავშვთა და ახალგაზრდობის ყველა ორგანიზაციისათვის, რომელნიც აღიარებენ მის პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობას. სიმეა-ს უმაღლესი ორგანოა ასამბლეა, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდება დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ასამბლეის ჩარჩოებში. იგი ღებულობს სამოქმედო პროგრამას მომდევნო ასამბლეამდე და ირჩევს სიმეა-ს პრეზიდიუმს.

ს ი მ ე ა-ს პრეზიდიუმი იკრიბება წელიწადში ორჯერ. მის სხდომებზე მტკიცდება წლის სამუშაო გეგმა, განისაზღვრება უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შინაარსი, ცხადდება კამპანიები და ხდება ახალი წევრების მიღება. მიმდინარე საშემსრულებლო სამუშაოებს უძღვება გენერალური მდივანი.

ს ი მ ე ა ახალგაზრდობის ყველა საერთაშორისო შეხვედრისა და ფორუმის აქტიური მონაწილეა. მისი ეგიდით, სხვადასხვა ქვეყნებში ეწყობა ბავშვთა საერთაშორისო ბანაკები, კონკურსები, ფესტივალები.

სი მე ა არის აგრეთვე განსაკუთრებით მძიმე პირობებში მყოფი ბავშვებისადმი სოლიდარობის ბევრი კამპანიის ინიციატორი.

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაცია სიმეა-ს ვიცე-პრეზიდენტია. იგი აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთის 100 ქვეყნის ბავშვთა და ახალგაზრდობის 150 ორგანიზაციასთან. ამიტომ, ცხადია, საჭიროა კარგად იცნობდეთ თქვენს საზღვარგარეთელ მეგობრებსა და პარტნიორებს.

სწორედ ამაში დაგეხმარებათ ეს მასალები, სადაც მოკლედ არის მოთხრობილი თქვენი უცხოელი თანატოლების შესახებ.

## უნგრელი პიონერების კავშირი

უნგრელი პიონერების კავშირი არის ბავშვებისა და მოზარდების მასობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია და მუშაობს უნგრეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ხელმძღვანელობით. შეიქმნა 1946 წლის 2 ივნისს. ამ დროიდან მოკიდებული ყოველი წლის ივნისის პირველ კვირა დღეს აღინიშნება უნგრეთის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე.

უნგრეთის პიონერთა კავშირის მიზანია მოზარდი თაობის აღზრდა კომუნისტური ზნეობის, სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულებისა და სიყვარულის, პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, შრომისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

კავშირის რიგებშია 1 მილიონ 200 ათასი წევრი: პატარა მედოლეები (ოქტომბრელები, 6-10 წ.), პიონერები (10-14 წ.) და ხელმძღვანელები.

პიონერული ორგანიზაციის რიგებში შემსვლელნი დებენ საზეიმო ფიცს. პიონერთა დევიზია: „მშრომელი ხალხისა და სამშობლოს დასაცავად წინ — ურყევად!“ „წინ!“ პიონერები წითელ ყელსახვევებს ატარებენ, პატარა მედოლეები — ლურჯს. პიონერული ორგანიზაციები ყალიბდება ტერიტორიული ნიშნით სკოლების ბაზაზე.

პიონერთა კავშირი თავისი ორგანიზაციის წევრებისათვის ყოველწლიურად ატარებს რაიმე მთავარ აქციას, მაგალითად, „ჩვენი მშვიდობისათვის“. აქცია ეწყობა ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით: თამაშობები, ვიქტორინები, შეჯიბრებები, კარნავალები, სოლიდარობის გამოფენები, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან. ამ ღონისძიებათა მიზანია მისცეს შესაძლებლობა პატარა მედოლეებსა და პიონერებს, რაც შეიძლება მეტი გაიგონ გარესამყაროს, მშობელი ქვეყნის, ჩვენი პლანეტის შესახებ.



„წარმოება — სკოლა“, ამ მოძრაობის ჩარჩოებში ხორციელდება საწარმოთა კოლექტივებისა და სოციალისტური შრომის ბრიგადების კავშირი სკოლების პიონერულ რაზმეულებთან.

პიონერთა კავშირი რეგულარულად აწყობს ბავშვთა შეჯიბრებებს „სიმარდე, გამბედაობა“ — 300 ათასამდე პატარა მედოლე და პიონერი ყოველწლიურად მონაწილეობს ლაშქრობებში, მიემგზავრება ტურისტულ ბანაკებში.

კავშირი სისტემატურად ატარებს სოლიდარობის კამპანიებს, აგროვებს თანხებს მშვიდობის ფონდისათვის.

უნგრეთის პიონერთა კავშირის მთავარი ბეჭდვითი ორგანოა გაზეთი „პაიტაშ“ („ამხანაგი“). პატარა მედოლეებისათვის კი გამოდის ჟურნალი „კიშდობოშ“ („პატარა მედოლე“).

დასასრული 31-ე გვერდზე




ნიკოლოზ ფედოროვი

მხატვარი ლ. კამინსკი

მიშკა დაახლოებით თვეში ერთხელ ბაბუასთან მიდიოდა ხოლმე სტუმრად და უკან ყოველთვის რაიმე საჩუქრით ბრუნდებოდა. ხან მნათისრებიან კომპასს ჩამოიტანდა. ხან ჯაყვას, რომელსაც მარტო ხორცსაკეპი თუ აკლდა, ხან ძველებურ მონეტას წვეროსანი ხელმწიფის გამოსახულებით. არა. მიშკა საჩუქრებისათვის კი არ აკითხავდა ბაბუას, უბრალოდ, თვითონ ბაბუა იყო ასეთი: არ შეეძლო, საყვარელი შვილიშვილი ხელცარიელი გამოეშვა. საჩუქრებს კი იქვე, თავის ბინაში პოულობდა. „შეხე, მიშიკო. — ეუბნებოდა ხოლმე ბიჭს. — გუშინ ანტრესოლები მივალაგე და ეს ბარომეტრი ვიპოვე. მახსოვს, ორმოციან წლებში რიგაში ვიყიდე, არც კი მიხმარია. აჰა, გქონდეს“. მიშკა ამბობდა, ბაბუამ ანტრესოლებზე გემი ან საზენიტო ქვემეხი რომ იპოვოს, ისიც კი არ გამიკვირდებაო.

იმ დღეს მიშკამ ბაბუას ნაჩუქარი ფოტოაპარატი მაჩვენა. ნამდვილი ტყავის ბუდიანი „ზორკი — C“.

— ალბათ, მოშლილია. — ვთქვი და შურით შევათვალიერე.

— როგორ თუ მოშლილი! — მიპასუხა მიშკამ. — ბაბუამ თქვა, არ მიხმარიაო. ყველაფერი რიგზე აქვს. უკვე ფირიც ჩავდე შიგ.

— გადაღება იცი?

— მაგაზე ადვილი რა არის! ბაბუამ ამიხსნა. აბა, დაჯექი ახლა ტახტზე, სურათს გადაგიღებ. „ჩემი მეგობრის პორტრეტი“ უნდა დავარქვა. თუ კარგი გამოვიდა. პიონერულ ჟურნალში გავგზავნი, ახლახან წავიკითხე, კონკურსს აცხადებენ საუკეთესო ფოტოსურათზე.

— მოიცა, თმას მაინც დავივარცხნი.

საგულდაგულოდ გადავივარცხნე ქოჩორი და ყოველი შემთხვევისათვის ხელ-პირიც დავიბანე. შემდეგ, მიშკას მითითებისამებრ, ტახტზე დავჯექი.

— აბა. დავიწყოთ. — თქვა მიშკამ და ობიექტივი დამიმიზნა. უცებ ვიგრძენი, რომ კისერი გამიშეშდა, სახე გამიქვავდა. აღარ ვიცოდი, ხელები სად წამეღო.

— რა მოგივიდა? — მკითხა მიშკამ და ფოტოაპარატი განზე გასწია.

— რა უნდა მომსვლოდა?

— ისეთი შეშინებული იყურები, თითქოს თავის ქალის ახდას გიპირებდე. მშვიდად იჯექი და გაიღიმე.

შევეცადე.

— ბიჭო, კბენას ხომ არ მიპირებ? გითხარი, გაიღიმე-მეთქი, კბილის დაკრეჭა კი არ მითხოვია!

— რანაირადაც ვიცი, იმნაირად ვიღიმები. თუკი არ მეცინება, როგორ უნდა გავიღიმო?

— რამე სასაცილო ამბავი გაიხსენე და გაგეღიმება. ოღონდ ყურებამდე ნუ გახევ პირს, ოდნავ გაიღიმე, იდუმალად.

—კი მაგრამ, ვითომ აუცილებელია გავიღიმო? მოწყენილს გადამიღე და სურათს ასე დაარქვი: „ჩემი სევდიანი მეგობრის პორტრეტი“.

— შეიძლება, მაგრამ ღიმილიანი უფრო საინტერესოა. ჯოკონდა გაგიგონია? ერთი ძველისძველი დროის იტალიელი ქალი სავარძელში ზის და ოდნავ იღიმება, უბრალოდ, თითქოს თავისთვის. მაგრამ მსოფლიოს მეცნიერებას დღემდე ვერ გაურკვევია, რატომ იღიმება. რომ იცინოდეს ან ხარხარებდეს, პორტრეტი ასეთი ცნობილი არ გახდებოდა.

ძალა მოვიკრიბე და შევეცადე იდუმალად გამეღიმა.

— ერთი ამას დამიხედეთ, ახლა ტირილი არ დააპირა? ბიჭო, რა დარდი გაწევს ამისთანა?.. იქნებ კბილები გტკივა?

— არაფერიც არა მტკივა! — გავბრაზდი მე. — რა გული გამიწყალე! თუ გინდა გადამიღე, როგორიცა ვარ, არა-და, თავი გამანებე!

— კარგი, კარგი, ოღონდ თვალებს მაინც ნუ დაქაჩავ, თორემ ვიღაცას ავადმყოფი ეგონები.

როგორც იქნა, აპარატის საკეტი დააჩხაკუნა, ჯერ ერთხელ, მერე კიდევ რამდენჯერმე, და ბოლოს თქვა:

— კარგი იდეა მომივიდა, რამე ბრძნული წიგნი უნდა დაგაჭერინო ხელში, უფრო ეფექტური გამოვა.

მიშკამ თაროდან საკმაოდ სქელი წიგნი გადმოიღო.

— სწორედ ის არის, რაც გვჭირდება — „იდიოტი“. ძალიან სერიოზული ნაწარმოებია.

.— არა, — ვთქვი მე. — „იდიოტთან“ სურათს არ გადავიღებ.

— რატომ?

— იმიტომ. — გავჯიუტდი.

— მაშინ „ცოცხალი ლეში“ იყოს.

ლევ ტოლსტოის დაწერილია. იქნებ „ჭრელი ვარია“ გირჩევნია? ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა გამოჩნდეს შენი კულტურული დონე?

მიშკა მართალი მეჩვენა და ჩემი მაღალი კულტურული დონის დასამტკიცებლად ხელში საბჭოთა ენციკლოპედიის ყველაზე სქელი, 24-ე ტომი დავიკავე. მიშკამ რამდენიმე სურათი გადამიღო. ხელში რიგრიგობით დამაჭერინა ბურთი, საზამთრო, გადამიღო აივანზე, მოტოციკლისტის ჩაფხუტით, მაგიდის ქვეშ, პიანინოსთან და საკერავ მანქანასთანაც კი.

მაგრამ, როცა „ხათხა იოგას“ სისტემით ყირაზე დადგომა შემომთავაზა, ჩემი მოთმინების ფიალა აივსო.

— კმარა, ასე ვერასოდეს ვერ გადავიღებთ წესიერ კადრებს. ფოტოჟურნალში წავიკითხე, რომ ყველა ცნობილი სურათი ფარული კამერითაა გადაღებული.

— ეს რანაირად ხდება? — შემეკითხა მიშკა.

— ისე უნდა გადაიღო სურათი, რომ ვერავინ გხედავდეს. მაშინ გამოვა ყველაზე საინტერესო კადრი.

ქუჩაში გავედით და ლუდის კასრის უკან დავიმალეთ. თითქოს განგებ, ქუჩაში საინტერესო არაფერი ხდებოდა. მიმოდიოდა სერიოზული ხალხი, მანქანები ნერვულად ამუხრუჭებდნენ გზაჯვარედინზე, ხალხით გაჭედილი ავტობუსები ძლივს იძვროდნენ ადგილიდან. არაფერი ღირსშესანიშნავი არ ხდებოდა. თუმცა მიშკამ გადაიღო ერთი ძაღლი, რომელსაც პატრონის ჩანთა კბილებით მოჰქონდა, და ერთიც ავტობუსი, რომლის კარიდან ვიღაცის ფეხი და ჩანთა მოჩანდა. ეგ იყო და ეგ. დაბრუნება გადავწყვიტეთ. და უცებ ერთი სახლის აივანზე სქელი მელოტი კაცი დავინახეთ. ტრუსები და მაისური ეცვა, თავზე რაღაც ეხურა ჩალმასავით, ხელში ფუთიანი გირები ეჭირა და ვარჯიშობდა.

— შეხე, მიშკა, რა ღონიერი კაცია! ჩქარა, გადაუღე, ვიდრე ვარჯიშს დაამთავრებდეს!

მიშკამ სწრაფად დააჭირა თითი ღილაკს. შემდეგ გადაიღო სახანძრო მანქანა, ნაყინის ჯიხური, საზამთროების გადმოტვირთვა, ბურახის რიგში მდგომი ხალხი და ბოლოს მე, ამაყად მდგარი იაპონური ავტომანქანის — „ტოიოტას“ გვერდით.

როცა შინ მივდიოდით, ვკითხე:

—ბევრი სურათი კი გადაიღე, მაგრამ ნეგატივის გამჟღავნება რომ არ იცი? გამადიდებელიც არა გაქვს!

— ნუ პანიკიორობ! — დამამშვიდა მიშკამ. — სლავიკას მოველაპარაკე, ჩემს მეზობელს, ზეგ თავისი სურათები უნდა დაბეჭდოს და ჩემებსაც მიაყოლებს.

ორი დღის შემდეგ მიშკას მეზობელს მივაკითხეთ.

— აა, მოხვედით, ფოტოგრაფებო? შემოდით... — შეგვიპატიჟა მან. — არაფერი გამოვიდა, ტყუილად იწვალე. ან ფირი არ ვარგოდა, ან აპარატია მოშლილი. მარტო ერთი კადრი გამოვიდა, თითქოს სახურავზე ხეაო ამოსული.

— ხე!? — გაუკვირდა მიშკას. — რომელი ხე? ჩვენ ხომ ხე არ გადაგვიღია!

— მე რა ვიცი? — თქვა სლავიკამ და მიშკას ფოტოსურათი გაუწოდა.

მართლაც, რომელიღაც სახლის სახურავზე პატარა ხე ამოსულიყო. თუმცა არა, უფრო სწორად ბუჩქს ჰგავდა. ხის გვერდით მტრედი იჯდა, მეორე, ის იყო, ცაში აფრთხიალებულიყო.

— ეს რა უბედურებაა?

უცებ გამახსენდა:

— მიშკა, გახსოვს ის მსუქანი გირებიანი კაცი? ჩალმა რომ ეხურა თავზე?

— მერე?

— ჰოდა, სწორედ ის სახლია. შენ, ალბათ, იჩქარე და ცოტა მაღლა ასწიე ობიექტივი.

— შესაძლებელია, მაგრამ ხე საიდან გაჩნდა?

— ეტყობა, ყოფილა იქ და ჩვენ ვერ შევნიშნეთ! თუმცა რას ვმკითხაობთ. წამო, შევამოწმოთ...

ერთი წუთის შემდეგ იმ ლუდის კასრის გვერდით ვიდექით. ის სახლიც ვიპოვეთ, ორი დღის წინ რომ გადავიღეთ. მაგრამ სახურავზე არავითარი ხე არ ჩანდა.

— კი მაგრამ. სად გაქრა? — ვთქვი მე. — სახლი ნამდვილად ისაა. აი, კარნიზის ქვეშ ბათქაშია მოგლეჯილი.

— მოდი. ვინმეს დავეკითხოთ. არა მგონია, ორივე ერთდროულად გავგიჟებულიყავით.

ჩვენ იმ საეჭვო სახლის ეზოში შევედით და მეეზოვე დავინახეთ.

— გამარჯობათ, — თავაზიანად მიესალმა მიშკა.

— გაგიმარჯოს! — უხალისოდ უპასუხა მეეზოვემ და ეჭვით შეგვათვალიერა.

— უკაცრავად, თქვენ ამ სახლში მუშაობთ?

— დიახ. თქვენ რა გაინტერესებთ?

— ჩვენ ის ხე გვაინტერესებს. ამ სახლის სახურავზე რომ იყო. ახლა სადღაც გაუჩინარდა.

— აა, — გაეღიმა მეეზოვეს. — მართალი ხართ. კი იყო იქ ამოსული ერთი ბუჩქი. მიკვირდა კიდეც. ამ ვეებერთელა აგურის სახლის სახურავზე ხე რამ ამოიყვანა-მეთქი! საოცარია პირდაპირ, ის ხომ არავის დაურგავს?

— ახლა სადღაა?

— საქმე ისაა, რომ იქითა კვირაში სახურავის გამოცვლას იწყებენ. ოცი წელია არ გამოუცვლიათ. ჰოდა, გუშინ მუშებმა ამოთხარეს ის ხე.

— ნახეთ! — მიშკამ მეეზოვეს ფოტოსურათი მიაწოდა. — იცანით?

— რა თქმა უნდა! — მშვენივრად გამოსულა.

— გქონდეთ სამახსოვროდ.

ისევ ქუჩაში გამოვედით. კიდევ ერთხელ შევხედეთ სახლს, რომლის სახურავზეც ხე იზრდებოდა.

— იცი რა, მიშკა. სხვათა შორის, მართლაც იშვიათი კადრი გამოვიდა! — ვთქვი მე. — აი, რას ნიშნავს ფარული კამერით გადაღება!

— მხოლოდ ის არის დასანანი, რომ ვერ დავინახეთ, როგორ იდგა ხე სახურავზე. გადაღებით კი გადავიღეთ, მაგრამ ნახვით არ გვინახავს. დაგვიჯერებენ ვითომ?

თარგმნა ნანა ფავლენიშვილმა



მორიონი — მთის ბროლი. ყაზბეგის რაიონი



კალციტ-ცეოლიტის კონკრეცია. ჰუოპიანის საბადო



საიუველირო აქატი. ახალციხის საბადო.



გაქვავებული ხე. გოდერძის უღელტეხილი



თიხა. ასკანის საბადო.



სერპენტინიტი. ჩორჩანის საბადო



თიხა. გუმბრის საბადო.



მთის ბროლი. ზემო რაჭა

# ეს საოცარი მინერალები

გიორგი ბიბილური

ცოდნა მინერალების შესახებ გეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი დარგია; მას ჯერ კიდევ ქვის ხანაში ჩაეყარა საფუძველი. ადამიანმა ისწავლა ქანების შერჩევა და გამოცნობა, იარაღისა და სამკაულების დასამზადებლად მათი გამოყენება. მინერალოგია ლათინური სიტყვაა და მადნების შესწავლას ნიშნავს. მინერალთა კლასიფიკაციის პირველი ცდები ეკუთვნის დიდ ბერძენ ფილოსოფოსსა და სწავლულს არისტოტელეს (384-323 წ. წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

მინერალოგიის განვითარებასთან დაკავშირებულია სამთო საქმის განვითარება. კვლევები ამ დარგში ქიმიაზე, კრისტალოგრაფიაზე, ფიზიკასა და გეოლოგიაზეა დაფუძნებული.

მინერალების გამოუყენებლად წარმოუდგენელია სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგის არსებობა. მათ ყველგან იყენებენ — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურის სფეროში.

რა არის მინერალი? თანამედროვე მეცნიერებაში მინერალი ბუნებრივ შენაერთს, ზოგჯერ კი — ხალას ელემენტს ჰქვია. დედამიწის ქერქის ამგები ქანები, სულ ერთია, დანალექი იქნება ის თუ მეტამორფული (ანუ შეცვლილი), მინერალებისაგან შედგება.

თანამედროვე მრეწველობა დიდი რაოდენობით იყენებს დედამიწის წიაღიდან მოპოვებულ მინერალურ ნედლეულს. მრეწველობის ძირითადი მასალაა რკინა. მას იყენებენ მანქანათმშენებლობაში, გემთმშენებლობაში, რკინიგზებზე... უმისოდ ვერც რკინა-ბეტონის ხიდები აიგებოდა, ვერც შენობები, ვერც საჭურველი და იარაღი დამზადდებოდა და ვერც სახალხო მოხმარების საგნები.

ადამიანი რკინას ისტორიამდელ ხანაშიც იცნობდა, მაგრამ მისი გამოყენება მაშინ დაიწყო, როცა ისწავლა რკინის გამოდნობა მადნისაგან, მისი დამუშავება, ფოლადის დამზადება...

მრეწველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფერად მეტალურგიას — სპილენძის, თუთიის, ალუმინის, ნიკელის, კობალტის მადნებისაგან ფერადი ლითონების დამზადებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იშვიათი ლითონები — ვოლფრამი, მოლიბდენი, ვანადიუმი, ტელური, ბერილიუმი, გერმანიუმი, ინდიუმი და სხვ. მათ ფართოდ იყენებენ კოსმოსური ხომალდების მშენებლობაში, რადიოტექნიკაში, კიბერნეტიკაში, ელექტრონიკაში...

სკკპ ცკ-ის 1982 წლის მაისის პლენუმზე დასახული სასურსათო პროგრამა ითვალისწინებს მინერალური ნედლეულის მარაგის ზრდას. თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია აგროქიმიური ნედლეულის გარეშე. მაგალითად, აპატიტისაგან ფოსფორის მარილი მზადდება, აზოტის გვარჯილა ნოყიერი სასუქია.

ქიმიური მრეწველობა მთლიანად მინერალებზეა დამყარებული — გოგირდის, აზოტის, ნატრიუმის, ბორის, ვერცხლისწყლისა და სხვა მინერალებისაგან ქიმიურ პრეპარატებს ამზადებენ.

საღებავების მისაღებად ხმარობენ სხვადასხვა მინერალს. ზოგი მინერალისაგან წამლებს ამზადებენ, ზოგს გადაუმუშავებლად ხმარობენ წამლად. მაგალითად, ასეთია გლაუბერის მარილი (მინერალი მირაბილიტი). მედიცინაში იყენებენ რადიაქტიური მინერალებისაგან მოპოვებულ რადიაქტიურ ელემენტებს.

ადამიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამშენებლო, სანახელავო ან ძვირფას ქვებს. ზოგს ამ ბოლო ხანებში მეტად დიდი სამრეწველო მნიშვნელობაც მიეცა. ასეთია, მაგალითად, ალმასი. საუკუნეების განმავლობაში ის მხოლოდ ძვირფასი ქვა, პატიოსანი თვალი იყო და სამკაულად ხმარობდნენ. დღეს კი, როგორც ყველაზე მაგარ ქვას, ფართოდ იყენებენ მრეწველობაში ლითონების დასამუშავებლად.

მეცნიერება და მრეწველობა ყოველდღიურად იკვლევენ მინერალთა გამოყენების სულ ახალ-ახალ სფეროს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გუმბრის და ასკანის თიხები. ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ აღმოაჩინა და შეისწავლა სოფელ გუმბრის (იმერეთი) და ასკანის (გურია) მიდამოებში გავრცელებული თიხები, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა „თავის საბან მიწას" უწოდებდა და საპნის მაგივრად ხმარობდა. ახლა მათ ნავთობდამმუშავებელ მრეწველობაში იყენებენ და გაჭირდება კიდეც მთლიანად ჩამოვთვალოთ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ამ თიხების მუდმივი მომხმარებლები არიან.

რომელ ქანებში გვხვდება ესა თუ ის მინერალი, რა სიღრმეზე შეიძლება შევხვდეთ მას? ამის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ გეოლოგიური მეცნიერების დარგი — მინერალოგია.

მინერალოგიის შესასწავლად თავი უნდა მოვუყაროთ კოლექციას ანდა შევქმნათ მინერალოგიური მუზეუმი.

აი, ახლა ერთ-ერთ ასეთ მუზეუმში ვიმყოფებით. ეს გახლავთ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის და საქართველოს სსრ გეოლოგიური სამმართველოს მინერალოგიური და პეტროგრაფიული მუზეუმი. აქ ხშირად ნახავთ ქიმიკოსებს, ტექნოლოგებს, გეოლოგებს, რომლებიც ღრმად სწავლობენ მინერალოგიას და პეტროგრაფიას. მუზეუმის ხშირი სტუმრები არიან სტუდენტები და მოსწავლეებიც.

დიდ დარბაზში 4960 მინერალი და ქანია თავმოყრილი.

დარბაზის შუა ნაწილში დაბალ კარადებში გამოფენილია სისტემური კოლექცია, რომელშიც მინერალები განლაგებულია ქიმიური შემადგენლობისა და კრისტალური სტრუქტურის მიხედვით: ჯერ მარტივი შედგენილობის მინერალები — ხალასი ელემენტები, მერე კი უფრო და უფრო რთული შედგენილობის მინერალებია. აქ იხილავთ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა საბადოს მინერალებს. ექსპონირებულია, აგრეთვე, აფრიკისა და ამერიკის სასარგებლო ნამარხები.

დარბაზის კედლების გასწვრივ მაღალ კარადებში გამოფენილია კავკასიის საბადოთა მინერალები და მადნები.

ექსპოზიცია იწყება (მარჯვნიდან მარცხნივ) დაშქესანის მაგნეტიტის — რკინის საბადოს — მადნებით (აზერბაიჯანი). ეს საბადო აწვდის ნედლეულს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას. შემდეგ მოდის შავი და ფერადი ლითონები. კარადის ერთი ნაწილი დათმობილი აქვს ჭიათურის მარგანეცის ნიმუშებს, ხოლო მეორე ნაწილში განლაგებულია სპილენძ-პიროტინის პოლიმეტალური მადანი (ფილიზჩაი, აზერბაიჯანი), ხალასი სპილენძი (ალავერდი, სომხეთი), პოლიმეტალური მადნეული (საქართველო) და სხვ. ამის შემდეგ გამოფენილია ფეროდი და იშვიათი ლითონები, კეთილშობილი მინერალები და ლითონები, კავკასიის კოლჩედანის საბადოები; ხელოვნური გზით მიღებული სამშენებლო მასალები; საწვავი მასალები (მურა ნახშირი, ტორფი, ქვანახშირი, ანტრაციტი); კერამიკული ნედლეული; ბენტონიტური თიხები და ცეოლიტები; მეტალურგიული ნედლეული; ძვირფასი და სანახელავო ქვები; სილიციდები; ქიმიური ნედლეული; სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები; რეალგარ-აურიპიგმენტის (დარიშხანი) მადანი ლუხუმის საბადოდან; პოლიმეტალური მადნები ზგიდის საბადოდან (ჩრდილო კავკასია). ამ დარბაზშივე არის ორგანული მინისაგან დამზადებული ორიგინალური დაფა, რომელზედაც ვერტიკალურად არის განლაგებული დიატომიტის, ამოფრქვეული კაჟმიწის, ნატრიუმის მეტასილიკატის, თიხამიწის, გუმბრის და ასკანის თიხების ტექნოლოგიური სინჯები.

ცალკეა გამოყოფილი ე. წ. ქანთმაშენ მინერალთა კოლექცია. აქ თავმოყრილია ის მინერალები, რომლებიც ყველაზე მთავარია დედამიწის ქერქის აგებულებაში.

ცალ-ცალკე სადგარებზე გამოფენილია ძოწი, ფლიორიტი, ქალცედონი და სხვა მინერალები.

აქვე იხილავთ სამშენებლო ქვების გამოფენას, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა ქართული მარმარილოების კოლექცია. ყურადღებას იქცევს ვულკანური ყუმბარები, ლაპილები და ა. შ.

მუზეუმის შესასვლელთან კედელზე დამაგრებულია დაფა, რომელზედაც აწყვია აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის სამშენებლო და მო-



ჰემატიტი — ებრაული ქვა. შროშის საბადო.



მარმარილო. შროშის საბად





ბარიტი. ჩორდის საბადო

მარმარილო. ლოპოტის საბადო.

საპირკეთებელი ქვების ნიმუშები.

მუზეუმში ცალკე ადგილი აქვს გამოყოფილი სადემონსტრაციო დაფას, რომელზედაც მოთავსებულია გამოჩენილი მინერალოგების, პეტროგრაფების, გეოქიმიკოსებისა და სტრატიგრაფების პორტრეტები.

მუზეუმში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მინერალებსა და ქანებს, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ საქართველოს მრეწველობაში და რომელთა მოსაპოვებლად თუ დასამუშავებლად მძლავრი მრეწველობაა შექმნილი.

გავიხსენოთ ქუთაისის ლითოფონის ქარხანა — იგი საქართველოს ბარიტების ბაზაზეა შექმნილი: აქ ამზადებენ განსაკუთრებით მდგრად საღებავს — ლითოფონს, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს მრეწველობის სხვადასხვა დარგებში; ან კიდევ წნელისის „საქტალკის" და ყურულდაშის „დარიშხანის" სამთო გამამდიდრებელი კომბინატები: ისინი პროდუქციას აწვდიან ადგილობრივ მრეწველობას და მოძმე რესპუბლიკებს.

თბილისის მახლობლად მდებარეობს მადნეულის პოლიმეტალური მადნის გამამდიდრებელი კომბინატი. აქ დიდი კარიერიდან მოიპოვებენ ქალკოპირიტის, პირიტის, გალენიტის, სფალერიტის მადნებს და მათგან ამზადებენ კონცენტრატს, რომლისგანაც შემდეგ სპილენძს და სხვა ლითონებს გამოჰყოფენ. ეს საბადო ზედაპირზე არსად არ ჩანდა, მაგრამ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით



ტუფი. ბოლნისის საბადო



კოლჩედანის მადანი.
მადნეულის საბადო.

შესაძლებელი გახდა მისი აღმოჩენა და გამომზეურება, ამ საქმეში კი გეოლოგებს მინერალოგიის ცოდნა დაეხმარა.

ამიტომ არის, რომ გეოლოგები ასე დაკვირვებით და ღრმად სწავლობენ მინერალოგიას.

ძვირფასო ბავშვებო! თუ რომელიმე თქვენგანი მომავალში გეოლოგიური მეცნიერების დაუფლებას მოინდომებს, შეგიძლიათ მოხვიდეთ ჩვენს მუზეუმში, იქ ბევრი საინტერესო მადნის ნიმუშებს ნახავთ და ცოდნასაც გაიღრმავებთ.



ძოწი. დაშქესანის საბადო.
აზერბაიჯანის სსრ.



მაგნეტიტის მადანი ქალკოპირიტისა
და ამეთვისტოს ჩანართებით.
დაშქესანის საბადო,
აზერბაიჯანის სსრ.



თვითნაბადი
სპილენძი.
ალავერდის
საბადო.
სომხეთის
სსრ.



ტყვია-
თუთიის
მადანი.
ზგიდის
საბადო
ჩრდილო
კავკასიაში

მყუდრო და ლამაზ ოთახში, ფანჯრის რაფაზე ორი ყვავილი იზრდებოდა — კაქტუსი და პელარგონია.

ზღაპარი, ბავშვებო, აბა, რაღა ზღაპარი იქნებოდა, რომ საგნებს, რომელთაც ჩვენ ყოველდღე ვხედავთ ანდა ხელით ვეხებით, ლაპარაკის და განსჯის უნარი არ ჰქონდეთ. ჰოდა, ზოგჯერ კაქტუსი და პელარგონიაც საუბრობდნენ ხოლმე ერთმანეთთან. ჩემო ძვირფასო პატარებო! როცა სახლში მარტონი იქნებით, ნუ დაიზარებთ, ჩამოჯექით მათთან ახლოს და ყური მიუგდეთ, როგორ საუბრობენ. რა აწუხებთ ან რა ახარებთ.

პელარგონიამ შეარხია თავისი წითელი და ნაზი ყვავილები და დამცინავად ჩაიქირქილა:

— ჰმ, რა ზღარბივით ეკლიანი და ულამაზო ხარ! სულაც არ გამიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს შენც ზღარბივით ცხვირი რომ ააბზიკო და მისეპრ ვიშვიშს მოჰყვე: „ფიჰ! ფიჰ!"

— ჯერ დაფიქრდი, ჩემო ლამაზო მეზობელო! — გამოეხმაურა კაქტუსი, — ეკლები ხომ ჩემი იარაღია! ისინი იცავენ ჩემს სინაზეს და წარმტაცი მშვენიერების დვრიტას, რომელიც ჩემში ბუდობს და საცაა აფუთფუთდება, შეიფართხალებს. ჩემი ღერო და ფოთლები, რომლებსაც შენ ეკლებს ეძახი, აცახცახდებიან ნეტარი განცდით, დაიძვრება იმედის ნორჩი ნაყოფი, ფაქიზი, როგორც ჩემი ოცნება და ამოხეთქავს, გაიფურჩქნება ბოროტების წამლეკი, მარგალიტივით ტურფა ყვავილი და მეც ისევე ნაზი და წარმტაცი ვიქნები, როგორიც შენ ხარ.

— როგორიც მე?! შენ გგონია, რომ ერთადერთი საცოდავი ყვავილით შესძლებ სიტურფეში შემეჯიბრო?! — სულში სიავე შეეპარა პელარგონიას, — შემომხედე: მუდამჟამს, ნათელ დღეშიც და ბნელი ღამითაც მე მორთული ვარ მრავალი წითელი და ნაზი ყვავილით, ამიტომაც არის, რომ ასე ძლიერ ვუყვარვარ ჩემს დიასახლისს, ყოველდღე მრწყავს, მიწას ხშირად მიფხვიერებს, შემჭკნარ ფოთლებსაც უმალვე მაცლის.

— ავსაც და კარგსაც მომავალი



# კაქტუსი და პელარგონია



ვიოლეტა შობლისკაიტე

ზ ღ ა პ ა რ ი

განსჯის, ჩემო ლამაზო პელარგონია! — მშვიდად უპასუხა კაქტუსმა.

...ბავშვებო, მე დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა, რომ კაქტუსის სულში ბრძენი და შორსმჭვრეტელი ფილოსოფოსი ცხოვრობდა. „მოვითმინოთო!“ — უთხრა მან თავის მეზობელს და მართლაც მალე მოხდა ის, რასაც არვინ ელოდა.

—რა მოხდაო? — იკითხავთ თქვენ.

— ისეთი არაფერი!

მოხდა მხოლოდ ის, რომ დიასახლისი სხვა ქალაქში გაემგზავრა. დაღონდნენ ყვავილები. განსაკუთრებით სევდიანი და მოწყენილი კაქტუსი იყო. ახსენდებოდა მხიარული საღამოები, როცა დიასახლისი სავარძელში გადაწვებოდა, ირწეოდა და ალერსიანად შესცქეროდა მათ.

— რად მოიწყინე? — შეეკითხა ერთ მშვენიერ საღამოს პელარგონია თავის მეზობელს, — განა მარტონი უკეთ არა ვართ? არავინ გვირღვევს მყუდროებას, არ მიმოდის ჩვენს ახლო-მახლო.

კაქტუსმა ფიქრიანად გადახედა ამაყ პელარგონიას, მაგრამ არაფერი უპასუხა. რა აზრი ჰქონდა დავას და კამათს? კაქტუსი ხომ ბრძენი და წინასწარმჭვრეტელი იყო?

უფრო მეტად გაამაყდა პელარგონია, მთელი ოთახის დედოფალი ვარო, — ასე ფიქრობდა, ფოთლები ეზრდებოდა, უმრავლდებოდა, იფურჩქნებოდა, ტურფად ჰყვაოდა ისედაც ლამაზი ყვავილი. ფესვებმა თავის ყვავილებს ტენის მთელი მარაგი მისცეს და სულ მალე ლამაზმანს ძალ-ღონე გამოელია. დიდად გაოცდა, არ მოელოდა ასეთ აღსასრულს, აღარ ვითარდებოდა, ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა. თვალსა და ხელს შუა დნებოდა და უძლურდებოდა. კაქტუსი კი კვლავაც ყოჩაღად იყო, ისევ ეკლიანობდა, ყურს უგდებდა შინაგან სიბრძნეს, შორსმჭვრეტელობისა და სიკეთის უჩინარი შუქით ნათდებოდა.

და აი, საღამოს პელარგონიამ მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და მიმჭკნარი ტუჩებით ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა:

— მეგობარო, მიშველე რამე!

— რით შემიძლია გიშველო? დამნაშავე ხომ შენვე ხარ მხოლოდ. მუდამ შენზე ზრუნავდნენ, გეფერებოდნენ, გეალერსებოდნენ, შენ კი ვერც ამჩნევდი ამაგს. როდესაც კეთილდღეობას ვეჩვევით, აღარ ვაფასებთ სიკეთეს, რომელიც კეთილდღეობას კვებავს... რით შემიძლია, დაგეხმარო? მე თანაგრძნობა შემიძლია მხოლოდ, სხვა არაფერი.

— მეგობარო, მიშველე რამე!

და უცებ კაქტუსს გაახსენდა თავისი ყვავილი, — თეთრი, ქათქათა. მას მოუთმენლობის ცეცხლი სწვავდა, აღორძინების ჟინი ათრთოლებდა, ის მოთქვამდა აღმოცენების, მარგალიტისდარ ფრთათა გაშლის ვნებით შეპყრობილი; სინათლის, სიმღერისა და სიხარულის ტრფიალი... განა ბედნიერება არ არის, — ღამის მძიმე სიჩუმეში, სიმყუდროვეში იკაშკაშო სინაზით და სხვათა მოხიბვლის ნდობით აღვსილს შვებას გფენდეს ადამიანის მზერა, — დინჯი, თბილი და სიკეთის ღიმილის მჩენი?

„ჩქარა, ყვავილო! გემუდარები, ამოდი ჩემში! — შესთხოვდა კაქტუსი თავის იდუმალ, აღორძინების ჟინით შეპყრობილ წიაღს, — როგორ გელოდა დიასახლისი! ისე გელოდა, რომ ახლა თუ ამობრწყინდები, ის იგრძნობს, დაბრუნდება, მორწყავს და გადაარჩენს პელარგონიას.

თითქოს ამ თხოვნას ელოდაო კაქტუსის ნორჩი ყვავილი: ამობრწყინდა, ამობრდღვიალდა, დილის ცვარ-ნამით დანამული, მარგალიტივით ამოიფრქვა ეკალთა ტყეში და ვერცხლისფრად გაანათა, გააჩირაღდნა მყუდრო ოთახი...

ხოლო როდესაც ირიჟრაჟა, მოაკლდა ყვავილს სიკაშკაშე, მომხიბვლელობა, სძლია რიჟრაჟმა.

და რომ გათენდა, შემოვიდა დიასახლისი:

— გული მიგრძნობდა, რომ უნდა მეჩქარნა. დავაგვიანე, ჩემო კარგო ღამის დედოფალო! დავაგვიანე... შენ ხომ იშვიათად ყვავილობ! როდისღა ვნახავ შენს თვალისმომჭრელ სიკაშკაშეს? — ეფერებოდა დიასახლისი კაქტუსის ყვავილს, ძალადაკარგულს და თითქმის მიმჭკნარს.

— ჩემო კაქტუსო, განა არ შეგეძლო, დაგეცადა ჩემთვის?!

დიასახლისი ერთხელ კიდევ შეეხო კაქტუსის ყვავილს, მერე კი პელარგონია მორწყა და რბილ სავარძელში ჩაეშვა.

ტენით გამძლარმა პელარგონიამ მორცხვად შეხედა თავის მეზობელს.

— გმადლობ, — თქვა მან, — შენ ამ საღამოს ლამაზი იყავ, ისე ლამაზი, როგორიც არსად და არასოდეს არ ყოფილა არც ერთი ყვავილი. არა მარტო ლამაზი, — შენ ალერსიანი და კეთილიც იყავ. გმადლობ...

ზღაპარი, ბავშვებო, აბა რაღა იქნებოდა, რომ საგნებს, რომელთაც ჩვენ ყოველდღე ვხედავთ ანდა ხელით ვეხებით, ლაპარაკისა და განსჯის უნარი არ ჰქონდათ?! ჰოდა, ზოგჯერ კაქტუსი და პელარგონიაც საუბრობენ ხოლმე ერთმანეთთან. ჩემო ძვირფასო პატარებო! როცა სახლში მარტონი იქნებით, ნუ დაიზარებთ, ჩამოჯექით მათთან ახლოს და ყური მიუგდეთ, როგორ საუბრობენ... რა აწუხებთ ან რა ახარებთ. იქნებ მიუხვდეთ, გაიგოთ, რაზე ლაპარაკობენ?

ლიტვურიდან

თარგმნა თ. კავლიაშვილმა

## ბუნების კარი

# შველი

ახლად დაბადებულ შვლის ნუკრებს თავდაპირველად უჭირთ ფეხზე დგომა და სიარული. დედა მათ ცალ-ცალკე მალავს ბალახებში, თვითონ კი შორიახლოს ტრიალებს, პატარებთან მალ-მალე მიდის და ძუძუს აწოვებს. ერთი კვირის შემდეგ ნუკრები გამართულად დადიან, მაგრამ დედა მაინც არ ატარებს მათ თან, ჯერ გამოსვლის უფლებას არ აძლევს. ნუკრები ძალზე გამგონები არიან და უდრტვინველად ემორჩილებიან დედას, იშვიათად იცვლიან მის მიერ მიჩენილ ადგილს, ის კი არა, ფეხზედაც მხოლოდ მაშინ დგებიან, როცა დედა მიუახლოვდება და თავის დაქნევით ან ფეხის ბაკუნით ანიშნებს, მოდითო.

შველს 100-200 გრამამდე ცხიმიანი რძე აქვს, რაც ორზე მეტ ნუკრს არ ყოფნის საკვებად. უფრო ხნიერი დედები ერთ ნუკრსაც ძლივს აკმაყოფილებენ საკვები რძით. ამიტომ ძალზე ხშირად ნუკრების ნაწილი პირველ დღეებშივე შიმშილით იხოცება. კარგ დედას ორივე ნუკრი შერჩება ხოლმე და კარგადაც ზრდის მათ, თუ მტაცებელმა არ შეუჭამა. ნუკრებს მრავალი მტერი ჰყავთ. მათ შორის ადამიანიც, რომელიც შეხვედრისთანავე იჭერს მათ. ნუკრი მალე ეჩვევა ადამიანს და ყველგან უკან დასდევს, თუმცა ტყვეობას ვერ იტანს და მალე იღუპება.

ასეთი ლამაზი, მიჩვეული და საყვარელი ცხოველის სიკვდილი კი ოჯახში, განსაკუთრებით ბავშვებში დიდ გულისტკივილს იწვევს. ერთი ჩემი მეგობრის ოჯახში ამგვარად დაჭერილი ნუკრი გამოზარდეს. დიდი და პატარა — ყველა თავს ევლებოდა, ეალერსებოდა, ყურადღებას არ აკლებდა. საკვებს დიასახლისი და ბავშვები აძლევდნენ და ნუკრიც ძალიან დაუმეგობრდა მათ. ჯერო, ასე ეძახდნენ ნუკრს, ოჯახში ყველაზე საყვარელი არსება იყო, მთელი დღე მშიერი რომ ყოფილიყო, სხვის მოწოდებულ საჭმელს არ გაეკარებოდა, მხოლოდ თავისი პატარა მეგობრების ხელიდან ღებულობდა პურს, ბოსტნეულს, სტაფილოს, კიტრს, პომიდორს, მწვანილს, ხილს. განსაკუთრებით მარწყვი და ბალი უყვარდა. ბავშვებთან ერთად მზესუმზირასაც კი მიირთმევდა. პურის ცხობის დროს ხომ ყოველთვის თონესთან, დიასახლისის ახლოს ტრიალებდა. ბავშვებს ყველგან უკან დასდევდა. ეზოში შესულ უცხო ადამიანს შორიდანვე სცნობდა, მაშინვე ფეხზე წამოხტებოდა, თვალები გაუფართოვდებოდა, ფეხს მიწაზე დააბაკუნებდა, გაიქცეოდა და ბავშვებს ამოეფარებოდა. დილას ბავშვებთან ერთად დგებოდა და, სანამ ისინი ემზადებოდნენ, კარებში უცდიდა, რომ სკოლაში მიმავალი პატარა მეგობრები ჭიშკრამდე მიეცილებინა. მერე კი ჭიშკართან დაწვებოდა და მათ დაბრუნებას ელოდებოდა. ისე დაუმეგობრდა ბავშვებს, რომ თავისი პატარა რქებით ბურთსაც კი ეთამაშებოდა მათ.

მათი ასეთი მეგობრობა, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთ დღეს ბავშვებს ჯერო მკვდარი დახვდათ. ბავშვები ამ ამბავმა დიდად დაანაღვლიანა. ვერ მიმხვდარიყვნენ, ასე მოულოდნელად რამ მოკლა შველი. რა იცოდნენ, რომ შველი ტყვეობაში ვერ სძლებს, სრულიად უბრალო რამე სწყენს და მალე იღუპება. ამიტომ ამ ულამაზესი ცხოველის სიკეთე თუ გვინდა, ის ბუნებას არ უნდა მოვწყვიტოთ, არ უნდა დავატყვევოთ.

ზამთარში გაჭირვებაში ჩავარდნილი, თოვლში ჩაფლული შვლების დაჭერა-დატყვევება ხომ ნამდვილი დანაშაული და ბოროტებაა. შველი ძალიან ნაზი, ფიზიკურად სუსტი და მფრთხალი ცხოველია. დატყვევებისას მას ხშირად უსკდება გული. ჯობს, ზამთარშიც ბუნებაშივე დავტოვოთ, ხოლო თუ გვინდა გაჭირვება შევუმსუბუქოთ, წყალზე და საკვებთან მისასვლელი გზები გავუკვალოთ თოვლში, ხის ტოტები ჩამოვუკაფოთ. შველს ძალიან უყვარს ნეკერი, ჭამს მღიერებსაც და ქერქსაც.

ალ. არაბული



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი უცხოელი თანატოლები

## კონგოს სახალხო რესპუბლიკის ეროვნული პიონერული მოძრაობა

კონგოს ეროვნული პიონერული მოძრაობა შეიქმნა 1965 წლის 19 სექტემბერს. იგი ბავშვთა ერთადერთი ორგანიზაციაა ამ ქვეყანაში და ერთი პირველთაგანი — აფრიკაში. მას ხელმძღვანელობს კონგოს სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირი. პიონერული ორგანიზაციები მოქმედებენ სკოლებში. მოძრაობის წევრი შეიძლება გახდეს 6-დან 16 წლამდე ასაკის ყველა ბიჭუნა და გოგონა. კავშირის წევრები იღებენ საზეიმო ვალდებულებას, აქვთ 10 მცნებისაგან შემდგარი კანონები, ატარებენ ყელსახვევებს, უმცროსები — მწვანეს და უფროსები — წითელს.

ორგანიზაციის მიზანია აღზარდოს მოზარდი თაობა კონგოელი ხალხის ბრძოლის რევოლუციურ ტრადიციებზე, კონგოს შრომის პარტიის სულისკვეთებით. ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მუშაობას, რომელიც მიმართულია პარტიის მოწოდების „სკოლა — მინდორი“ შესასრულებლად. ეს გულისხმობს პიონერთა დარაზმვას იმისათვის, რომ თითოეულმა კონკრეტული წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, გამოიმუშაოს შრომისადმი პატიოსანი და შეგნებული დამოკიდებულება.

პიონერთა ორგანიზაციაში დიდი ვაქანება ეძლევა ბავშვთა ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებას.

კონგოს ეროვნული პიონერული მოძრაობა მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობაშია ჩვენს საკავშირო პიონერულ ორგანიზაციასთან.

### არაჩვეულებრივი მცენარე

ყველა სელექციონერი ოცნებობს გამოიყვანოს ისეთი მცენარე, რომლის შექმნა ბუნებამ ვერ შეძლო ან „დაავიწყდა“. ტოკიოს ერთ-ერთ გარეუბნელ მოსწავლეს ბედმა გაუღიმა: მან სინამდვილედ აქცია თავისი ფანტასტიკური ჩანაფიქრი. — კარტოფილზე პამიდორისა და ბადრიჯნის დამყნობით მიიღო არაჩვეულებრივი მცენარე. ხუთი ასეთი მცენარე კარგად განვითარდა. მათ პამიდორისა და ბადრიჯნის საკმაოდ მოზრდილი ნაყოფები გამოისხეს და კარტოფილის მშვენიერი ტუბერებითაც გაახარეს ნორჩი სელექციონერი.

### ავტომობილიდან ველოსიპედზე

იაპონია ავტომობილიდან ველოსიპედზე გადაჯდა. 114-მილიონიან ქვეყანაში 50 მილიონი ველოსიპედია. ამას წინათ აქ მიღებული განაწესით ყველა ბანკს, მაღაზიას, ვაგზალს, კინოთეატრს და სხვა დაწესებულებებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ყოველმხრივ აღჭურვილი ველოსიპედის სადგომები. გარეუბნების მკვიდრნი, რომლებიც ყოველდღე ელექტროკინეზით ჩადიან ქალაქში სამუშაოდ, ვაგზალთან მდებარე სადგომებში ტოვებენ თავიანთ ველოსიპედებს მთელი ღამით. ამიტომ ვაგზლისპირა სადგომებში პედალიანი მანქანების ტევა არ არის.

### ყვავილებს ხმაური არ უყვართ

ამერიკელი მეცნიერები აკვირდებოდნენ ყვავილთა ზრდას ხმაურსა და სიწყნარეში. ერთ-ერთი მცენარე, რომელსაც განუწყვეტლივ „ბომბავდნენ“ ხმაურით, ექსპერიმენტის დაწყებიდან მეათე დღეს დაჭკნა.



### უძველესი ცეცხლის კერა

როდის დაიწყო ადამიანმა ცეცხლის გამოყენება? ამის თქმა ძნელია, რადგან ცეცხლის კერის კვალი ძალზე ძნელად ინახება. სინანთროპებმა, მაგალითად, ნახევარი მილიონი წლის წინათ უკვე იცოდნენ ცეცხლის მიღება და მისი შენარჩუნების საშუალებები. ამას წინათ აფრიკაში, ვიქტორიის ტბის მიდამოებში აღმოჩენილმა ცეცხლის კერის ნაშთმა სენსაცია გამოიწვია. იგი 1,4 მილიონი წლის წინანდელი აღმოჩნდა. კერის გვერდით ცხოველთა ძვლები და ქვის სამუშაო იარაღები იპოვეს

### გამოცდები მექსიკურად

მექსიკაში მოძრაობის წესები მარტო ტრანსპორტის მძღოლებმა კი არა, სახედრის და ჯორის პატრონმაც უნდა იცოდეს. იგი ვალდებულია სპეციალურ კომისიას ჩააბაროს გამოცდა. გამოცდაზე დაშვების თხოვნას უნდა დაერთოს პატრონის ოთხი ფოტოსურათი, სახედრის ან ჯორისა კი — ორი.

### იყო თუ არა საჰარა ზღვის ფსკერი?

აქამდე ბევრი მეცნიერი თვლიდა, რომ საჰარა ოდესღაც ზღვის ფსკერი იყო. ამ მოსაზრებას თითქოს ამტკიცებდა ამ უდაბნოს ქვიშის ქვეშ აღმოჩენილი ქვამარილის ფენები. ცოტაოდენი ხნის წინათ ალჟირელი სპეციალისტები, გათხრებისა და არაერთი გაბურღვის შემდეგ, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ: არა, რაც აფრიკის კონტინენტი გაჩნდა, საჰარა ზღვის ფსკერი არ ყოფილა. მას გაუვალი ჯუნგლებით დაფარული ნაყოფიერი ნიადაგი ფარავდა. ჯერჯერობით უცნობი მიზეზების გამო მრავალი ათასწლეულის წინათ ტყეებმა უკან დახევა იწყეს ქვიშის წინაშე. ეგვიპტის პირველი ფარაონების ეპოქაში უდაბნომ უკვე საბოლოოდ გაიმარჯვა. მაშ საიდან გაჩნდა ქვამარილის ფენები? ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ეს ფენები ტბებში დაილექა და არა ზღვაში.

### პროფესია და ჯანმრთელობა

ავსტრიელი ფსიქოლოგის ვ. რეევერსის აზრით, ჯანმრთელობას ყველაზე უკეთ დირიჟორის პროფესია უწყობს ხელს. ვ. რეევერსი ამტკიცებს, რომ ამ პროფესიისათვის დამახასიათებელი ფიზიკური დატვირთვისა და ემოციური დაძაბულობის ურთიერთშეხამება დირიჟორს ეხმარება ჯანმრთელობა შეინარჩუნოს და ღრმა სიბერემდე იცოცხლოს. ამას მოწმობს ზოგიერთი სტატისტიკური გამოკვლევაც.



მსხვილი ასოებით სათაურის, განცხადების ან პლაკატის დასაწერად შეგიძლია ცანგის ფანქარი გამოიყენო.

რაც უფრო მსხვილი სათაურის დაწერა გინდა, მით უფრო მეტი თავწატეხილი ასანთის ღერი ჩააწყვე ფანქრის სატუჩეში.

კედელში გამოჩრილი ლურსმნები, ცხადია, სულაც არ ამშვენებენ ოთახს. სურათის დასაკიდებლად ნუ იხმარ რამდენიმე ლურსმანს, ამისათვის ერთი ლურსმანი კმარა.

ფეხსაცმელი კარგად რომ გაპრიალდეს, გახდისთანავე გაწმინდე, თორემ ზედ შერჩენილი ჭუჭყი და მტვერი ტყავს ცხიმს აცლის და პეწს უკარგავს.

სველი ფეხსაცმელი ჯერ მშრალი ჩვრით გაწმინდე, მერე მცენარეული ზეთი წაუსვი, ძველი გაზეთებითა და ქაღალდებით დატენე, სწორი ფორმა მიეცი და გასაშრობად გვერდზე დააწვინე. ფეხსაცმელს მზეზე ან ცეცხლზე ნუ გააშრობ, თორემ ფორმას დაკარგავს.

მინის ქილას ხშირად ხუფი მჭიდროდ არ ამაგრდება — იხმარე რეზინის ორი რგოლი (წამლის შუშებს რომ ახვევია თავზე, ისეთი) ისე, როგორც ნახატზეა ეს, და ხუფს ჰაერი აღარ შეეპარება.

პლასტმასის ხუფში ჩაყრილი ლურსმნები აღარ დაგეფანტება, თუ ხუფს ქვემოდან მაგნიტის ფირს მიაკრავ.

გაპრიალებული საწერი მაგიდის ზედაპირი მინამ რომ არ დააზიანოს, მინასა და მაგიდის ზედაპირს შორის რეზინის რამდენიმე თხელი რგოლი დაუტანე.

თუ გინდა ხელის ნათურა ერთ ადგილზე მიამაგრო (რკინის საწოლის თავზე, მანქანაზე ან ველოსიპედზე), მაგნიტის ფირი აქაც გამოიყენე.

ჰანტელებით მოვარჯიშეს იოლად შეუძლია თავისი ხელით გააკეთოს ასეთი სადგარი.













ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

ო. გველესიანი — კვლავ გუგუნებს დიდი ზარი (ლექსი) . . . . . . . გარეკ. 2
ნ. აფხაზავა — ადამიანი შრომით ფასდება (ნარკვევი) . . . . . . . . . 1
ზ. ტაბაღუა — უბეში ჩავარდნილი ნაკვერცხალივით (მოთხრობა, დასასრული) . . . . 1
ნ. ფაილოძე — ჩვენი ძალა მეგობრობაშია (ნარკვევი) . . . . . . . . . 10
ზ. შერაზადიშვილი — ძეგლევი (პოემა) . . . 12
ვ. ჩეკურიშვილი — ტყუილი (მოთხრობა) . . . 14
ე. დიდიმამიშვილი — ამაგდარი (წერილი) . . . 17
აისი . . . . . . . . . 18
მ. გელაშვილი — ერთგულება; ზორო მეოთხე სართულზე ცხოვრობს (მოთხრობები) . . . 20
შენი უცხოელი თანატოლები (წერილი) . . . . . . . . . 23
ნ. ფედოროვი — ფარული კამერით (მოთხრობა) 24
გ. ბიბილური — ეს საოცარი მინერალები (წერილი) . . . . . . . . . 26
ვ. შობლისკაიტე — კაქტუსი და პელარგონია (ზღაპარი) . . . . . . . 28
ა. არაბული — ჯერო (წერილი) . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . გარეკ. 3

---

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ბივი პეტრიაშვილისა

---

მთავარი რედაქტორი გაგულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეჩირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

---

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

---

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01 გადაეცა ასაწყობად 22. 07. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 09. 83 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^{1}/_{3}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1898. ტირაჟი 151.900 ეგზ. უე 08301.

---

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

---

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^{1}/_{3}$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 151900 экз. Цена 20 коп.

---

© „პიონერი“, 1983 წ.



## კროსვორდი



თარაზულად: 2. ალ. დიუმას რომანის „სამი მუშკეტერის" პერსონაჟი; 4. ფრანგი ფიზიკოსი და მათემატიკოსი; 6. მუსიკალური საკრავი; 8. კენკროვანი მცენარე; 9. თვე. 10. ზ. ფალიაშვილის ოპერა. 14. სატვირთო გემი, რომელიც ბუქსირით მოძრაობს; 15. სუსტი ქარი, რომელიც დღისით ზღვიდან ხმელეთისაკენ ქრის, ღამით კი — ხმელეთიდან ზღვისკენ; 19. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 20. ორანძიანი სამხედრო ან კომერციული ხომალდი; 21. უნგრელი კომპოზიტორი; 24. ჩრდილოეთ ამერიკის ნახევარკუნძული; 25. მფრინავი ძუძუმწოვარა ცხოველი; 27. კონტინენტი.

შვეულად: 1. დროშა, ანუ? 2. ქალაქი საბერძნეთში; 3. ერთგვარი ყვავისფერი კანფეტი; 4. პარკოსანთა ოჯახის მერქნიანი მცენარე; 6. მდინარე რსფსრ-ში; 7. სისხლის მიმოქცევის მთავარი არტერია; 8. აშშ-ს შტატი; 11. კავკასიონის მწვერვალი; 12. იტალიელი კომპოზიტორი; 13. ქალაქი ეგვიპტეში; 16. სულთმობრძავის მდგომარეობა; 17. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული კულტურული ან სპორტული ღონისძიების მაუწყებელი განცხადება; 18. დაბა საქართველოში; 22. ქალაქი ერაყში; 23. ტექნიკური კულტურების წარმომადგენელი მცენარე; 26. გარეული ცხოველი

შეადგინა
თემურ გიორგობიანმა,
თბილისის 132-ე საშუალო
სკოლის VII კლასი

## გამოცანები

სიბერისთვის ემზადება,
დინჯად იგებს ბინას,
თავის ნაქსოვ ტომარაში
გაეხვევა, სძინავს.

ხოლო როცა გაიღვიძებს,
ხდება საოცრება:
სჭრის ტომარას და იქიდან
პეპლად გამოძვრება.

•

ოცდაცამეტ ძმას ცალ-ცალკე
თავის სახელი ჰქვია.
დალაგდებიან ჯგუფ-ჯგუფად
და სხვის სახელებს ქმნიან.

•

მუდამ მწვანე აქვს ფოთოლი
და არასოდეს ცვივდება.
შემოდგომაზე ყვავილობს,
შუა ზამთარში მწიფდება.

•

ამომიღეს, წამომიღეს
და ორმოში ჩამდეს,
დამწვეს, კი არ დავნაზშირდი,
გავქათქათდი მჩატედ.

წყალს მასხამენ და უცეცხლოდ
ადუღებას ვიწყებ.
ქაფქაფა რძის წვენი გამდის,
თუ ვერ მიცნობ — ვიწყენ.

•

წყლიდან ვარ ამოტანილი,
დაბადებული წყალშივე.
წყალს ველარ ვიტან, შემძულდა,
ტუვიზე მეტად მაშინებს
და თუ შიგ ისევ ჩამაგდეს,
ვქრები და ვკვდები მაშინვე.

•

რა უხილავი ფრთები აქვს,
ჩქარია ქარზე, ტყვიაზე.
წუთში მოივლის პლანეტებს
და დაეშვება მიწაზე.
მიხვდი?.. არ არის რაკეტა,
არც რამე მისი მაგვარი.
ის უფრო მშვიდობიანი
და უფრო სწრაფი რამ არი.

•

როგორც წისქვილში. ამ ყუთშიც
ერთი დოლაბი ტრიალებს,
ჩიტის ნისკარტისნაირი
ზედ სარეკელაც სრიალებს.
თქვენც ალბათ ბევრჯერ დაგატკბოთ
იმ სარეკელას ტკბილმა ხმამ.
იცით? ასეთი „წისქვილი"
თქვენს ოჯახებშიც გვინახავს.

ჯ. ჯიმერი

•

ან ღობის ძირას წევს და
ან ბაღის კვლებში გდია.
ზაფხულში მოდის,
თუმცა
ზამთრის სახელი ჰქვია.

•

ამ საგნის უცნაურობა
მაშინვე თვალში გეცემა:
როცა მოძრაობს, ფეხზე დგას
გაჩერდება და — ეცემა.

•

მისი საბრძანებელი
ფსკერია და რიყე.
წინ ვერ დადის, ყოველთვის
უკან-უკან იხევს.

•

მე ვერ მიცხვდი, და თქვენი
დახმარება მწადს:
ხან კახურ შოთს წააგავს,
ხან იმერულ მჭადს.

•

ბოლო მოუგავს მარაოს,
მოდის და მონარნარაობს.

ნ. მარიხია

## ორნი ესკალატორზე

ორი ადამიანი ესკალატორის საფეხურებს მიჰყვება. ერთი უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე მეორე. რომელი მათგანი მოასწრებს მეტი საფეხურის დათვლას?

## პასუხი № 8-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

თარაზულად: 1. კარადა; 4. ცარცი; 6. დეფო; 7. იენა; 8. ტაქტი; 10. მუზა; 11. ისინდი; 14. არსენალი; 18. ხიროსიმა; 21. დაურია; 24. როლი; 25. დაირა; 26. აისი; 27. „თეო"; 28. ოკამი; 29. მარანი.

შვეულად: 1. კორტი; 2. რეისი; 3. ადამიანი; 4. ცოტაძე; 5. „იოიოგი"; 9. ქისა; 12. სარი; 13. ნემო; 15. სტადია; 16. ნერუ; 17. ლალი; 18. ხენდრო; 19. რუხი; 20. სურათი; 22. რკინა; 23. არაკი.

### ნიუტონის ამოცანა

20 ძროხა.

### სახუმარო გამოცანა

საათის ციფერბლატზე 19 საათის იქით გადათვალე 20 საათი და მიიღებ მეორე დღის 15 საათს.

ინდექსი 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი. მარინა იაშვილი 11 წლის.

მოსწავლეთა შემოქმედება

ექსპონატები

გავშვთა შემოქმედების გალერეიდან



პორტრეტი. ნატო ბარნაბიშვილი 6 წლის.

გაზაფხულდა. მალხაზ შალამბერიძე 9 წლის.



ფასი 30 კაპ.